პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 2 აპრილი, 1950 წ. № 69 (8629). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ლიტერატურული კრიტიკის გაუხამსების წინააღმდეგ — „პრავდა" 1950 წ. 30 მარტი (მე-2 გვერდი).
თ. კუნჭულია — ფასდაუდებელი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში (მე-2 გვერდი).
ვაჟა-ფშაველა — გიორგი ლეონიძის (მე-3 გვერდი).
ალექსანდრე აბაშელი — გიორგი ლეონიძის (მე-3 გვერდი).
ს. ჭილაია — გამოჩენილი საბჭოთა პოეტი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადა

ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედება მსოფლიოში ყველაზე მსხვილ და მექანიზებულ მიწათმოქმედებას წარმოადგენს. ყოველწლიურად იზრდება სოფლის მეურნეობის აღჭურვა მძლავრი პირველხარისხოვანი ტექნიკით. 1946-1949 წლებში საბჭოთა კავშირის მრეწველობამ გამოუშვა 430 ათასზე მეტი ტრაქტორი თხუთმეტძალიანზე გადაყვანით, 48 ათასი კომბაინი და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ბევრი სხვა მანქანა. საკოლმეურნეო წყობილება მექანიზებული მიწათმოქმედების გამოყენების მტკიცე ბაზაა.

„კოლმეურნეობათა უდიდესი მნიშვნელობა,—გვასწავლის დიდი სტალინი, — სწორედ ის არის, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად ბაზას მანქანებისა და ტრაქტორების გამოსაყენებლად მიწათმოქმედებაში, რომ ისინი შეადგენენ ძირითად ბაზას გლეხის გარდასაქმნელად, მისი ფსიქოლოგიის სოციალიზმის სულისკვეთებით გადასამუშავებლად".

ამხანაგი სტალინი, ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებს, შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმების შემუშავებას, რომლებიც შეესაბამება მსხვილ მექანიზებულ მიწათმოქმედებას და, მაშასადამე, უზრუნველყოფს ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების მაღალნაყოფიერ გამოყენებას.

საკოლმეურნეო მშენებლობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ძირითადი და მთავარი ფორმა არის მუდმივი საწარმოო ბრიგადა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ თავის 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილებაში „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მორიგ ღონისძიებათა შესახებ" აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა უნდა გახდეს ბრიგადა კოლმეურნეთა მუდმივი შემადგენლობით და პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანად დასახა ბრიგადირთა სწორად შერჩევა და მათი შემადგენლობის დენადობის აღმოფხვრა. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება ითვალისწინებს, რომ კოლმეურნეობის წევრებისაგან გამგეობა ქმნის საწარმოო ბრიგადებს. მემინდვრეობის ბრიგადები იქმნება ვადით არანაკლებ მთელი თესლბრუნვისა. თვითეულ ბრიგადას კოლმეურნეობის გამგეობა სპეციალური აქტით მიაჩენს მთელ საჭირო ინვენტარს, მუშაპირუტყვს და სამეურნეო ნაგებობებს.

კოლმეურნეობის წევრებს შორის სამუშაოს ანაწილებს უშუალოდ ბრიგადირი, რომელიც ვალდებულია საუკეთესოდ გამოიყენოს თავისი ბრიგადის თვითეული კოლმეურნე, სამუშაოს განაწილების დროს არ დაუშვას არავითარი შინაურულობა და მტკიცედ გაითვალისწინოს თვითეულის შრომითი კვალიფიკაცია, გამოცდილება და შესაძლებლობა. წესდება ავალებს კოლმეურნეობის ყველა წევრს წესიერად შეასრულოს გამგეობისა და ბრიგადირის მიერ დაკისრებული სამუშაო და საზოგადოებრივი მოვალეობანი, მტკიცედ დაიცვას შრომის დისციპლინა.

„კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მუდმივი საწარმოო ბრიგადების, როგორც საარტელო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, ყოველნაირად განმტკიცება.

საწარმოო ბრიგადამ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში და უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების საქმეში ბრიგადამ მთავარი როლი შეასრულა. მარცვლეულის მეურნეობა დიდად მექანიზებულია და ბრიგადას ეძლევა ფართო ასპარეზი მტს-ების მსხვილი ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მრავალი მოწინავე ბრიგადა და ბრიგადირია. მრავალ ბრიგადირს მინიჭებული აქვს საპატიო წოდება — სოციალისტური შრომის გმირობა და დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ს. გოგიაშვილს წლითიწლობით პურეულის უხვი მოსავალი მოჰყავს. შარშან მან 56 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28,62 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა, ხოლო 224 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,43 ცენტნერი. ბრიგადაში მაღალია შრომის დისციპლინა. სწორად არის შეხამებული მემინდვრეობისა და მტს-ის სატრაქტორო ბრიგადების მუშაობა.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადის ფულადი შემოსავალი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი კარლო გორგილაძე ხელმძღვანელობს მილიონ მანეთს აღემატება. ბრიგადირი სათავეში უდგას ბრიგადაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ის კოლექტიური შემოქმედებითი შრომის ორგანიზატორია. ბრიგადაში მტკიცე ჩვევად გადაიქცა საწარმოო თათბირების მოწვევა. ბრიგადირი მოახსენებს ბრიგადის წევრებს ამა თუ იმ სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე, სთხოვს მათ რჩევასა და დახმარებას. ბრიგადაში საფუძვლიანად განიხილავენ კოლმეურნეთა წინადადებებს და სახავენ ღონისძიებას მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ბრიგადა წარმატებით აწარმოებს ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოებს და ამავითვე ემზადება ჩაის ფოთლის კრეფის ახალი სეზონისათვის.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავალი შეიძლებოდა.

სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებში საწარმოო ბრიგადების განმტკიცებას, დაბალია ბრიგადაში შრომის დისციპლინა, კოლმეურნეობის გამგეობა სუსტ დახმარებას უწევს ბრიგადას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთ დადგენილებაში „1950 წლის საგაზაფხულო თესვისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ" დაავალეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მიიღონ ზომები იმისათვის, რომ შემდგომ განმტკიცდეს მუდმივი საწარმოო ბრიგადა კოლმეურნეობებში.

ბრიგადების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სწორად დაგეგმვას. თვითეული მემინდვრეობის ბრიგადის მუშაობა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ის ითვალისწინებდეს ძალების სწორად გამოყენებას, მექანიზაციის ფართოდ დანერგვას, მემინდვრეობის ბრიგადისა და მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ურთიერთდახმარებას, რაც მოსავლიანობის გადიდების საწინდარია.

კოლმეურნეობის ბრიგადას დიდი უფლება-მოვალეობა აქვს დაკისრებული. ბრიგადირი კოლმეურნეობაში ცენტრალური ფიგურაა და ბრიგადისამი მის ოპერატიულ და მოქნილ ხელმძღვანელობაზე დამოკიდებულია მინდვრის სამუშაოთა მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად შესრულება.

ბრიგადირი ბრიგადაში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორია. ახლა შეჯიბრების მთელი ძალა წარმართულ უნდა იქნას საგაზაფხულო თესვის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

ბრიგადირი ბრიგადაში საწარმოო თათბირებისა და კოლმეურნეთა აგროტექნიკური სწავლების ორგანიზატორია.

უხვი მოსავლის მოყვანის ბედს მაღალ აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად შრომის სწორი ორგანიზაცია განსაზღვრავს. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისადმი, მუდმივი საწარმოო ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესებისადმი, კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისადმი. ბრიგადირთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციისათვის ბრძოლა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი ლატვიურ ენაზე

რიგა, 30 მარტი. (სატას). ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობამ ლატვიურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი.

თარგმანი შეასრულა ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

ჩვენს რესპუბლიკაში

საკოლმეურნეო მინდვრებზე

გუდაუთა. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობენ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ყოველდღე ორასამდე კოლმეურნე გამოდის სამუშაოზე. შრომის სწორი ორგანიზაციისა და ძალების მთლიანად გამოყენების შედეგად ცალკეულმა ბრიგადებმა უკვე დაამთავრეს თესვისწინა საგაზაფხულო სამუშაოები.

მევენახეობის ბრიგადამ სასუქით გაპატივა, დაბარა, გასხლა და სარზე აკრა 40 ჰექტარი ვენახი. გარდა ამისა, კოლმეურნეობაში 10 ჰექტარი ახალი ვენახის გასაშენებლად მომზადებულია ნიადაგი. საგაზაფხულო სამუშაოებს წარმატებით ასრულებს ამხ. ტაბუცაძის ბრიგადა. აქ დამთავრებულია სათამბაქოე ნიადაგის ხვნა, ხეხილის ბაღების დაბარვა და შეწამვლა, ამოძირკვა და სიმინდისათვის 7 ჰექტარი ყამირის დამუშავება. მომზადებულია ფარცხები, გუთნები და კონდიციური თესლი. ხვნაზე ყოველდღე 30 უღელი ხარი მუშაობს. გუთნისდედები ბ. გოგობერიშვილი, ა. ჩიხრაძე, ვ. ციხისელი, გ. გოქშელიძე და ნ. ისაკაძე დღეში ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებენ.

საკოლმეურნეო კადრების მომზადება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მიმდინარე წელს რაიონში მოწყობილ მოკლევადიან კურსებზე მომზადებულ იქნა ახალი საკოლმეურნეო კადრები: ვაზის მყნობელი—120 კაცი, მსხვლელი—100, მემინდვრე ბრიგადირი—80, ჩაის კულტურის მსხვლელი და მკრეფავი—150, ხეხილის მყნობელი და მსხვლელი—15, ჩაის კულტურის ბრიგადირი და მერგოლური—30, მცენარეთა დაცვის მუშაკი—25 კაცი.

კურსდამთავრებულები კოლმეურნეობებში დაიწყებენ მუშაობას თავიანთი სპეციალობის მიხედვით.

საკავშირო პრემია

ბორჯომი. (საკ. კორ.). საქართველოს კურორტვაჭრობის ბორჯომის განყოფილების № 1 სასურსათო მაღაზიამ (გამგე ს. ჯოლბორდი) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომხმარებელთა მომსახურება. ექვსი თვის წინათ ამ მაღაზიაში შეიქმნა საუკეთესო მომსახურების ბრიგადა.

გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ საქონელბრუნვის და დაგროვების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, აგრეთვე მიმოქცევის ხარჯების საგრძნობლად შემცირებისათვის კურორტვაჭრობის ბორჯომის განყოფილების № 1 მაღაზიის კოლექტივს მიანიჭეს მეორე საკავშირო პრემია.

ჯილდოთი აღფრთოვანებული № 1 მაღაზიის მუშაკები წარმატებით იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

კინოთეატრი თბილისის სამგზავრო სადგურში

ამ დღეებში დამთავრდა 300-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა თბილისის სამგზავრო სადგურში.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი: ქარხანა „დაზგას" სტახანოველი ამწყობები ნ. კონევი (მარჯვნივ) და ა. კოკალაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

შეჯიბრებაში დაწინაურებული მაღაროები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროებში დღითიდღე ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში პირველ წარმატებას მიაღწიეს სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს მარგანეცის დამზადების მარტის გეგმები. ეს მაღაროები ყოველდღიურ გეგმებს 105 და მეტი პროცენტით ასრულებენ. წინ მიდიან უბნები, რომლებსაც ამხ. ა. კაპანაძე, ი. წერეთელი, ტრ. ფოფხაძე, გ. ჭოლაძე, მ. კენჭოშვილი და შ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობენ. ამ უბნების კოლექტივებმა მარტში გეგმის გადამეტებით დიდძალი მარგანეცი მისცეს სამშობლოს. თავდადებულად მუშაობენ სტახანოველები ს. ოთინაშვილი, ა. ძინძიბაძე, ი. შუბითიძე, მ. ჭუმბურიძე, ი. ამყოლაძე, ბ. გელბახიანი, მ. დევიძე, პ. მიროტაძე, ა. გაფრინდაშვილი, ი. თაბაგარი და სხვები, რომლებიც ცვლაში ორ ნორმას ასრულებენ.

ამოცანა ის არის, რომ აპრილში ყველა მაღარო გადაჭარბებით ასრულებდეს დავალებას. მაღაროელები ახალი საწარმოო გამარჯვებებით უნდა შეხვდნენ 1 მაისს.

ბათუმის საწარმოთა კოლექტივების ვალდებულებანი

ბათუმი. (საკ. კორ.). თბილისელ დაზგათმშენებელთა მოწოდებამ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლის შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ბათუმის საწარმოებში. ყველა საწარმოში განიხილეს მოწოდება და იკისრეს აპრილში გადიდებული საწარმოო ვალდებულების შესრულება.

ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სამაისო შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად იკისრა აპრილში ჩაის მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების გამოშვება გეგმის გადამეტებით.

ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მიზნად დაისახა აპრილში მიაღწიოს პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას და უზრუნველყოს გეგმის გადამეტებით პროდუქციის საგრძნობი რაოდენობით გამოშვება.

ასევე გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს კიროვის სახელობის ტყავის ქარხნის, კოფეინის ქარხნის და სავაგონო დეპოს კოლექტივებმა.

შეჯიბრებაში სულ ახალ-ახალი ადამიანები ებმებიან და შეუნელებლივ აძლიერებენ მუშაობის ტემპს მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად.

ეკონომიის პირადი ანგარიშები

ამიერკავკასიის რკინიგზის ავეჯეულობის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ა. ადამაშვილი) საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში საყურადღებო სიახლე შეიტანა. გარდა იმისა, რომ აქ 1 მაისის აღსანიშნავად იკისრეს მიმდინარე საწარმოო ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება, ამასთან ისარგებლეს მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის სახელოვანი ბრიგადირის ლიდია კორაბელნიკოვას ინიციატივით და დამატებით იკისრეს ახალი ვალდებულებები.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა აპრილში ყოველი სამუშაო ადგილის მიხედვით შემოიღოს ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიის პირადი ანგარიშები, გამოიყენოს ხე-ტყის ჩამონაჭრები და მათგან გეგმის გადამეტებით დაამზადოს სულ ცოტა 200 კვადრატული მეტრი პარკეტი, თვის ბოლოსათვის ეკონომიის შედეგად დააგროვოს იმდენი ნედლეული, რომ ფაბრიკას ეყოს ერთ დღეს და, გარდა ამისა, უზრუნველყოს მთელი გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი.

კინოპავილიონის მშენებლობა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი თბილისში გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (პლეხანოვის პროსპექტი № 65) ინჟინერ-არქიტექტორ ა. პავლოვის პროექტის მიხედვით აშენებენ კინოპავილიონს.

პავილიონს, გარდა სცენისა და დარბაზისა, რომელიც 600-მდე მაყურებელს დაიტევს, ექნება ბიბლიოთეკა და დამხმარე ოთახები.

პავილიონი გათვალისწინებულია, როგორც თეატრალური დადგმებისა და კონცერტებისათვის, ისე კინოსურათების საჩვენებლად.

პავილიონის წინ გაშენდება სკვერი.

მშენებლობა, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია 1950 წელს, დაჯდება 1.500 ათას მანეთამდე. პავილიონი გაფორმდება ქართული არქიტექტურული სტილით და ერთ-ერთი ულამაზესი შენობა იქნება ქალაქში.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

ქარელი. (სპეც. კორ.). რაიონის ცენტრში — კულტურისა და დასვენების პარკში 1949 წელს დაიდგა ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტი, რომლის სიმაღლე 9 მეტრია. პარკში შენდება კულტურის სახლი.

დაწყებულია რაიონის ცენტრის მთავარი ქუჩის რეკონსტრუქცია. წელს 8.000 კვადრატულ მეტრზე დაგებულ იქნება ასფალტი, აიგება ქუჩების განაპირა წყალსაშვი ბეტონის არხები.

ახალი სასტუმრო

წითელწყარო. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში გაიხსნა ახალი 34—ადგილიანი სასტუმრო. შენობის ქვედა სართულში ეწყობა რესტორანი.

კოლმეურნეებმა კლუბი ააგეს

ჩოხატაური. (საკ. კორ.). სოფელ კოხნარის მშრომელებმა 1948 წელს დაიწყეს კლუბის მშენებლობა. მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სასოფლო საბჭოში შემავალმა სოფელ კოხნარის ორჯონიკიძის, ნაკადულის მახარაძის, ბურნათის ძნელაძისა და წიფნარის კალინინის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა.

ამჟამად კლუბისათვის განკუთვნილი ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება დამთავრებულია. ახალი სასოფლო კლუბი 500 მაყურებელს დაიტევს. მას ექნება ოთახები ბიბლიოთეკისა და წრეების მუშაობისათვის.

რძის გადასამუშავებელი ქარხანა

გურჯაანი. (საკ. კორ.). ქალაქ გურჯაანში დაიწყო რძის გადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რაზედაც ერთი მილიონი მანეთი დაიხარჯება. ქარხნის მშენებლობა მიმდინარე წელს დამთავრდება.

სოციალისტური შრომის გმირები

ვ. ნ. ჯოჯუა

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.698 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ე. რ. გოხიძე

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმის" წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.702 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ძ. ჯ. შავილიშვილი

ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.347 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ა. მ. კონცელიძე

ქობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.205 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ლიტერატურული კრიტიკის გაუხამსების წინააღმდეგ

ჩვენს დროს საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება შეუძლებელია ისე, თუ გადაჭრით არ გავაძლიერეთ ლიტერატურული კრიტიკა. თვითკრიტიკა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ჩვენ გვესაჭიროება როგორც ჰაერი, როგორც წყალი. კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონია. ჩვენ გვესაჭიროება პრინციპული, მაღალ თეორიულ დონეზე მდგომი ლიტერატურული კრიტიკა, მომთხოვნელი და მწვავე, მაგრამ გულისხმიერი და ამხანაგური, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატთა იდეურ-მხატვრულ ზრდას.

ჩვენ ყოველგვარი კრიტიკა როდი გვესაჭიროება. ამხანაგი სტალინი 1928 წელს აღნიშნავდა: „გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ სახელს ნუ გაუტეხთ თვითკრიტიკის ლოზუნგს და ნუ გადააქცევთ მას იაფფასიანი სენსაციების სამზარეულოდ“.

მაგრამ ჯერ კიდევ დღემდე ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკოსებს შორის შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც თავიანთ სტატიებში ნამდვილ, ბოლშევიკურ კრიტიკას სცვლიან შეურაცხმყოფელი, ვულგარული „კრიტიკით“, რომელიც უცხოა ჩვენი საზოგადოების სულისათვის, და მოაქვს არა სარგებლობა, არამედ ზიანი.

ასეთი კრიტიკული გამოსვლების რიცხვს ეკუთვნის ა. ბელიკის სტატია „ზოგიერთი შეცდომების შესახებ ლიტერატურათმცოდნეობაში“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ოქტიაბრის“ 1950 წლის № 2-ში. ამ მავნე და აბნეულ სტატიას ბოლშევიკურ ლიტერატურულ კრიტიკასთან საერთო არა აქვს რა.

პარტიის გადაწყვეტილებანი, ლენინისა და სტალინის მითითებანი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით მხატვრული შემოქმედების განუწყვეტლივ ამაღლებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიადი ამოცანების გადასაწყვეტად ყველა მწერლის დარაზმვისათვის.

ამხანაგი სტალინი ყოველთვის გადაჭრით უჭერს მხარს სერიოზულ შემოქმედებით შეჯიბრებას, წინააღმდეგია ლიტერატურასა და ხელოვნებაში ადმინისტრირების ცდებისა. ჩვენი პარტიის მზრუნველი დამოკიდებულება მხატვრული შემოქმედებისადმი ნიმუშია მთელი სოციალისტური ლიტერატურული კრიტიკისათვის. ჩვენ ულმობლად უნდა ვამხილოთ ყოველივე მტრული, ხოლო ამავე დროს მზრუნველად დავუჭიროთ მხარი ყოველივე იმას, რაც ხალხის სასარგებლოა, — ყოველივე მზარდსა და ნიჭიერს.

დატუქსვითა და შეურაცხმყოფელი კრიტიკით არ შეიძლება სოციალისტური ხელოვნების შექმნა.

ხოლო ა. ბელიკის სტატიას რომ კითხულობ, უწინარეს ყოვლისა გაოცებს მისი ტონი. ეს სტატია უხეში ადმინისტრაციული დატუქსვის თვალსაჩინო მაგალითია. ბრძანებითი ინტონაციები — „კრიტიკოსები მოვალენი არიან“, „ვალდებული არიან“ და სხვ. უხვად მოიპოვება სტატიაში. მაგალითად, მისი ტონისათვის დამახასიათებელია ასეთი სრულიად მოურიდებელი, პრეტენციოზული სტრიქონები: „ჩვენ ვიმეორებთ ამ აზრს, ვინაიდან გვსურს, რომ იგი შეითვისოს, დაიხსომოს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია სოციალისტური ლიტერატურის ინტერესები, არა მარტო თანამედროვე, არამედ მომავალიც“.

სტატიის დასაწყისშივე ა. ბელიკი აცხადებს, რომ მისი მიზანია მთელი რიგი წიგნების ანალიზის საფუძველზე გამოამჟღავნოს „ყველაზე არსებითი მათი შეცდომები“. ავტორი საკუთარ თავზე მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს და წერს: „...ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს არა ის, თუ რა გაკეთდა, არამედ ის, რაც ჯერ არ გაკეთებულა ან ისე არ კეთდება, როგორც საჭიროა“. საბჭოთა კრიტიკოსის გადაქცევა მოხითხითე, გესლიან „შეცდომების დამჭერად“ ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენი კრიტიკის მთელ მიმართულებასა და სულს.

ა. ბელიკს ჭკუის დამრიგებლის პოზა მიუღია და უსაყვედურებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს, რომ ისინი ცუდად იყენებენ, ხოლო ზოგჯერ ამახინჯებენ კიდეც ლენინისა და სტალინის აზრებს ლიტერატურის შესახებ.

მაგრამ თვით ა. ბელიკის სტატია სწორედ ნიმუშია ვ. ი. ლენინის სტატიის „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ძირითად დებულებათა უხეში დამახინჯებისა და ვულგარიზატორული განმარტებისა.

ლენინის სტატიის „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ გენიალური იდეები აღაფრთოვანებდნენ და აღაფრთოვანებენ მწერლებს მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური სოციალისტური ლიტერატურის განვითარებისათვის ბრძოლაში. გამყიდველი ბურჟუაზიული ლიტერატურის საწინააღმდეგოდ ლენინმა წამოაყენა ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული, სოციალიზმის იდეებით გამსჭვალული ლიტერატურის პრინციპი. ეს ლიტერატურა მოწოდებულია ემსახუროს „მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს წარმოადგენენ“. ამ მიმართულებით ვითარდება საბჭოთა ლიტერატურა, მას არა აქვს სხვა ინტერესი, გარდა ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესისა.

მაგრამ ამაში როდი ხედავს ა. ბელიკი საბჭოთა ლიტერატურის კომუნისტური იდეურობის არსს. მან დაამახინჯა ლენინის სტატიის ძირითადი აზრი, არასწორად, ცალმხრივად განმარტა მისი შინაარსი. ა. ბელიკს თვითნებურად, როგორც სქოლასტიკოს მედავითნეს მოყავს ცალკეული დებულებანი ლენინის სტატიიდან იმ კონკრეტული ისტორიული ვითარების გაუთვალისწინებლად, რომელშიც დაიწერა ლენინის სტატია, და მექანიკურად იყენებს მათ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის მიმართ.

ლენინი ამხილებდა ბურჟუაზიული, ანტიხალხური ლიტერატურის გამყიდველობას, ვაჭრულ ხასიათს, კარიერიზმს, გახრწნილ ჩვევებს, ლიტერატურისა, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო მოსყიდვაზე, ფულზე.

უვიც და არაკეთილსინდისიერ კრიტიკოსს ა. ბელიკს მოურიდებლად გადააქვს ბურჟუაზიული ლიტერატურის ლენინური შეფასება საბჭოთა ლიტერატურაზე. „დღევანდლამდეც, — წერს იგი,—ზოგიერთი ლიტერატორის შეგნებაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ჩარჩული ურთიერთობის, ბიუროკრატიზმის ნაშთები, კარიერიზმის ელემენტები“.

ასეთი ვულგარული, არსებითად არასწორი შეხედულება განსაზღვრავს ა. ბელიკის არაკეთილმოსურნე, შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას საბჭოთა ლიტერატორებისადმი.

1905 წელს, როცა უპარტიობის დროშას ეფარებოდა ყოველგვარი რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა, ლენინი წერდა: „გაზეთები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციების ორგანოები უნდა გახდნენ. ლიტერატორები აუცილებლად უნდა შევიდნენ პარტიულ ორგანიზაციებში“. სიტყვებით „ძირს უპარტიო ლიტერატორები!“ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქმე ეხებოდა პარტიულ ლიტერატურას და პარტიას შეეძლო გაერეკა ის ადამიანები, „რომლებიც პარტიის ფირმით სარგებლობდნენ ანტიპარტიული შეხედულებების საქადაგებლად“.

ლენინური სიტყვების რეალური, კონკრეტულ-ისტორიული აზრი ვერ შეუგნია ყოყოჩა ვაი-კრიტიკოს ა. ბელიკს. მექანიკურად გადააქვს რა ბურჟუაზიული უპარტიობის ლენინური კრიტიკა საბჭოთა ლიტერატურაზე, ა. ბელიკი ამახინჯებს ლენინურ დებულებათა აზრს, იძლევა არასწორ წარმოდგენას პარტიის პოლიტიკაზე უპარტიო მწერლების მიმართ.

ახლა ვითარება ჩვენს ქვეყანაში ძირეულად შეიცვალა. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენში შექმნილია კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკი.

„წინათ კომუნისტები უპარტიოებს და უპარტიობას ერთგვარი უნდობლობით ეპყრობოდნენ, — ამბობს ამხანაგი სტალინი.—ეს იმით აიხსნება, რომ უპარტიობის დროშით ხშირად თავს იფარავდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიული ჯგუფები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ იყო უნიღბოდ გამოსულიყვნენ ამომრჩეველთა წინაშე. ასე იყო წარსულში. მაგრამ ახლა ჩვენში სხვა დროა. ახლა უპარტიოებს ბურჟუაზიისაგან ბარიერი ჰყოფს, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება ეწოდება. იგივე ბარიერი აერთიანებს უპარტიოებს კომუნისტებთან **საბჭოთა ადამიანების** ერთ საერთო კოლექტივად. ცხოვრობენ რა საერთო კოლექტივში, ისინი ერთად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, ერთად ომობდნენ და სისხლს ღვრიდნენ ფრონტებზე ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და სიდიადისათვის, ერთად ჭედდნენ და გამოჭედეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მტრებზე. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთნი პარტიაში არიან, მეორენი კი არა. მაგრამ ეს განსხვავება ფორმალურია. მნიშვნელოვანია ის, რომ ერთნიც და მეორენიც აკეთებენ ერთ საერთო საქმეს“.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში საბჭოთა მწერლების მთელი მასა დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო. ლენინ-სტალინის პარტიის ყოვლისმძლე იდეები, საბჭოთა ხალხის ცხოვრება და ბრძოლა აღაფრთოვანებენ საბჭოთა მხატვრებს, შეადგენენ მათი შემოქმედების მთავარ შინაარსს. საბჭოთა ლიტერატურა კაცობრიობის ახალი, კომუნისტური მორალის მაუწყებელი გახდა.

დღეს დაუსაბუთებელი და მავნეა დაუპირდაპიროთ პარტიული მწერლები უპარტიოებს, ეს კი სწორედ ასე გამოუდის „ოქტიაბრში“ მოთავსებული სტატიის ავტორს, რომელიც ჯამბაზობს ციტატებით და არ ესმის, თუ რას ეხება ეს ციტატები.

ა. ბელიკის მსჯელობა მოწმობს, რომ მას სრულიად არ ესმის პარტიის პოლიტიკა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. იგი არსებითად ცდილობს აღორძინოს ჩვენი პარტიის მიერ დიდი ხნის წინათ მხილებული და დაგმობილი „რაპელების“ სექტანტური გეზი, რომლებიც კომუნისტ მწერლებს უპირდაპირებდნენ უპარტიო მწერლებს, ნერგავდნენ ჯგუფობრიობას. „ახალრაპელი“ ა. ბელიკი უგულებელყოფს მხატვრული შემოქმედების თავისებურებას და მექანიკურად გადააქვს მხატვრულ ლიტერატურაზე შინაპარტიული ცნებები.

ბილ-ბელოცერკოვსკისადმი გაგზავნილ წერილში ამხანაგი სტალინი 1929 წელს აღნიშნავდა, რომ უცნაური იქნებოდა გამოგვეყენებინა შინაპარტიული ცნებები „ისეთი არაპარტიული და გაცილებით უფრო ფართო დარგისადმი, როგორიცაა მხატვრული ლიტერატურა, თეატრი და სხვ.“.

ცნობილია, რომ სოციალისტური რეალიზმის განსაზღვრა მოცემულია საბჭოთა მწერლების კავშირის წესდებაში. სოციალისტური რეალიზმის ამ სწორ და ღრმა განსაზღვრას ა. ბელიკი ცვლის დაბნეული და მოგონილი მსჯელობით, თავისი შეთითხნილი განსაზღვრებით და მუდამ უგულებელყოფს სოციალისტური რეალიზმის ძირითად მოთხოვნას — ცხოვრების სიმართლის მოთხოვნას.

ა. ბელიკის მანკიერმა კონცეფციამ, რომელიც აღორძინებს ჯგუფობრიობის ჩვევებს, შემთხვევით როდი ჰპოვა მხარდაჭერა და ადგილი ჟურნალ „ოქტიაბრში“, რომლის რედაქციაც ბევრჯერ სამართლიანად გაუკრიტიკებიათ ჯგუფობრიობისათვის. როგორც ჩანს, ჟურნალის რედაქციას დღემდე არ სურს ბოლშევიკურად გამოეხმაუროს კრიტიკას, გააკეთოს იქიდან სწორი დასკვნები.

ა. ბელიკი ლიტერატურათმცოდნეობის ნაშრომების პრინციპულ გარჩევას ცვლის წვრილმანი, ზერელე, არაკეთილსინდისიერი კრიტიკით. იგი არ ერიდება ფაქტების პირდაპირ დამახინჯებას, უხეშ სიცრუეს, განსახილველი ნაშრომების კონტექსტიდან ამოგლეჯს ცალკეულ ფრაზებს და ფრაზების ნაწყვეტებსაც კი. თუ ერთი ლიტერატურათმცოდნე წერს, რომ გორკიმ ახალი ისტორიული ეტაპი დასახა ლიტერატურის განვითარებაში, ა. ბელიკი მას მაშინვე იჭერს „დანაშაულის ადგილზე“ და გესლიანად შენიშნავს: ჩვენ კი დღემდე მიგვაჩნდა, რომ გორკიმ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას და არა დასახა იგი. საკმარისი იყო მეორე ლიტერატურათმცოდნეს განეცხადებინა, რომ საბჭოთა ლიტერატურა წარმოადგენს „წინგადადგმულ ნაბიჯს კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“, რომ ა. ბელიკს იქვე ჭკუის დამრიგებლის ტონით დაეგმო იგი: რა ნაბიჯი, რა საფეხური,—ეს ხომ ახალი ეპოქაა!

იმის შეუფასებლობა, რომ ხელოვნებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების სიმართლით ასახვას, იწვევს სხვა შეცდომებსაც ა. ბელიკის სტატიაში. მასში გამოხმაურება ჰპოვა წარსულის ხელოვნებისადმი „პროლეტკულტულმა“ და „რაპულმა“ ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ. სტატია ამტკიცებს, რომ წარსულის მწერლები ვითომდა მხოლოდ „ჭვრეტით ასახავდნენ სინამდვილეს“. ა. ბელიკი იქამდე მიდის, რომ უსაყვედურებს ლიტერატურის კლასიკოსებს „უსულგულო ამწერლობას“, იმას, რომ ისინი „არსებითად დაინტერესებული“ არ არიან ცხოვრების გარდაქმნით. „ტყუილად დაუწყებთ, — წერს სტატიის ავტორი, — მისი (რევოლუციური მოძრაობის. — **რედ.**) გამოხატულების ძებნას ისეთი მწერლების ნაწარმოებებში, როგორიცაა ჩეხოვი და ლ. ტოლსტოი“. ავტორი აქ იჩენს პრიმიტიულ, ვულგარულ-სოციოლოგიურ მიდგომას ლ. ტოლსტოის რეალიზმისადმი. ლენინი ლ. ტოლსტოის აფასებდა როგორც „რუსეთის რევოლუციის სარკეს“ და აღნიშნავდა, რომ მის შემოქმედებაში აისახა „ხალხის დიდი, აზვირთებული ზღვა...“.

ა. ბელიკი დასცინის სწორ მტკიცებას, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა საბჭოთა მწერლის შემოქმედებას კლასიკოსების გავლენის კვალი აჩნევია. „არის თურმე,—ირონიულად წერს იგი,—მანერა ლევ ტოლსტოისა, გოგოლისა, ჩეხოვისა, ტურგენევისა, რომანტიკულად აღფრთოვანებული, ზუსტად დოკუმენტური, ლირიკულ-ინტიმური და სხვ“. უბადრუკი კრიტიკოსის ლიტერატურული ცოდნის სიღარიბე და მისი თეორიული მსოფლმხედველობის პრიმიტიულობა ნათლად ჩანს განცხადებაში, თითქოს საბჭოთა მწერლებზე კლასიკოსების შემოქმედებითი ზეგავლენის აღიარება იწვევს „აშკარა შეუსაბამობას: შემოქმედებითი მეთოდი არსებობს მისი მხატვრული განსახიერების საშუალებათა გარეშე“.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო ბელიკების უბადრუკ ცდებს—ჩამოაცილონ საბჭოთა ლიტერატურა დიდ რუსულ კლასიკურ ლიტერატურას, ბოლო მოვუღოთ კლასიკოსებისაგან სწავლის ნიჰილისტურ უგულებელყოფას, დიდი რუსი მწერლების მხატვრული ოსტატობისადმი ანარქისტულ დამოკიდებულებას.

თავის სტატიაში ა. ბელიკი შემთხვევით როდი უვლის გვერდს მხატვრული ოსტატობის საკითხებს. ამით თვალსაჩინოდ მჟღავნდება არა მარტო ა. ბელიკის მიერ ლიტერატურული კლასიკის უდიდესი გამოცდილების შეუფასებლობა, არამედ მისი სრული არაკომპეტენტურობაც ლიტერატურის საკითხებში.

მთელი ჩვენი მწერალთა საზოგადოებრიობის, ჟურნალებისა და გაზეთების ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჯანსაღი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, რომელიც ეხმარება ჩვენს ლიტერატურას წავიდეს წინ, შეურიგებლად იბრძოლოს უიდეობასა და აპოლიტიკურობას, იბრძოლოს ჩვენი დიადი ეპოქის ღირსი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის. ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე ადგილი არ უნდა იყოს ისეთი სტატიებისათვის, რომლებიც აუხამსებენ და სახელს უტეხენ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის პრინციპებს.

(„პრავდა“ 1950 წ. 30 მარტი)

ფასდაუდებელი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში

(ი. ბ. სტალინის სტატიის „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ გამოქვეყნების 20 წლისთავის გამო)

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ი. ბ. სტალინის კლასიკურ ნაშრომს „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“, რომელიც „პრავდაში“ გამოქვეყნდა 1930 წლის 3 აპრილს. ცოტა უფრო ადრე, ამავე წლის 2 მარტს გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, ხოლო 15 მარტს—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებებთან ბრძოლის შესახებ“. ამ დოკუმენტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიის პოლიტიკის გამრუდებათა აღმოფხვრის საქმეში.

ი. ბ. სტალინის სტატიამ „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 მარტის დადგენილებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვეს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკთა შორის. ამხანაგმა სტალინმა კოლმეურნეებისაგან მიიღო წერილები, რომლიბშიც დასმული იყო საკოლმეურნეო მოძრაობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. სტატიაში „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ ი. ბ. სტალინმა ღრმად, ყოველმხრივ გააშუქა ეს საკითხები და ამით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. დიდი სტალინის გენიის ამ შესანიშნავმა ქმნილებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

სტატია „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ გამოქვეყნდა ისტორიულ პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაჩაღდა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა. ეს იყო პერიოდი, როცა საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში მოხდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — კოლმეურნეობებში შევიდნენ საშუალო გლეხები. მშრომელი გლეხობა გაჰყვა პარტიის მოწოდებას, მან ზურგი შეაქცია „კერძო საკუთრების“ ნაქებ დროშას და დადგა კოლექტივიზაციის გზაზე, სოციალიზმის გზაზე.

მიუხედავად კლასობრივი მტრის გააფთრებული წინააღმდეგობისა, მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა. მაგრამ წარმატებებთან ერთად თავი იჩინა უარყოფითმა მხარეებმა, სერიოზულმა შეცდომებმა და გამრუდებებმა პარტიული ხაზის გატარებაში.

სტატიაში „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ ნაჩვენები იყო გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების წარმომშობი მიზეზები და მთავარი შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობაში: არასწორი მიდგომა საშუალო გლეხისადმი, კოლმეურნეობათა შექმნის დროს ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის დარღვევა, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობათა თავისებურების გათვალისწინების ლენინური პრინციპის დაუცველობა, სასოფლო-სამეურნეო არტელის გვერდის ავლა და მოუმწიფებელ ფორმაზე — კომუნაზე გადახტომა.

ჩვენი პარტიისა და ხალხის მტრები, რომლებმაც გამოიყენეს საკოლმეურნეო მშენებლობაში ადგილებზე დაშვებული შეცდომები, ცდილობდნენ ჩაეშალათ კოლექტივიზაციის საქმე. ახასიათებდა რა იმ დროს ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, ამხანაგი სტალინი 1937 წელს თავის სიტყვაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამბობდა: „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო პერიოდი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში“.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა დროულად შეამჩნია მოახლოებული საფრთხე და შეაიარაღა ჩვენი კადრები კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის ბოლშევიკური პროგრამით.

დიდი ლენინი და დიდი სტალინი ყოველთვის მიგვითითებდნენ საშუალო გლეხთან სწორი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობაზე. ჯერ კიდევ 1918 წელს ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი საშუალო გლეხთან კავშირის შესახებ. სოფლად პარტიული მუშაობის ყველა ამოცანა ვ. ი. ლენინმა გამოხატა სხარტი ფორმულით: ა) დაეყრდენ ღარიბ გლეხობას, ბ) მოაწყე შეთანხმება საშუალო გლეხთან, გ) ერთი წუთითაც არ შეწყვიტო ბრძოლა კულაკთან. პარტიამ მტკიცედ გაატარა ცხოვრებაში ლენინის ეს მითითება.

სტატიაში „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ გლეხთა საკითხში დაშვებული შეცდომების ფესვი მდგომარეობს საშუალო გლეხისადმი არასწორ მიდგომაში, საშუალო გლეხთან საურთიერთობის ხაზით ძალდატანების დაშვებაში და მითითებას იძლეოდა, რომ ამჟამად საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხთან კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთოდ, კულაკების წინააღმდეგ განსაკუთრებით.

ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ საშუალო გლეხის მიმართ ძალდატანებას უდიდესი ზიანი მოაქვს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის. „...ძალდატანება, რომელიც აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, დაუშვებელი და დამღუპველია საშუალო გლეხის მიმართ, რომელიც ჩვენს მოკავშირეს წარმოადგენს“ (სტალინი).

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომა აგრეთვე ის იყო, რომ დაარღვიეს ლენინური პრინციპი სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობათა მრავალფეროვანების გათვალისწინებისა საკოლმეურნეო მშენებლობის დროს. ასეთი შეცდომა ამიერკავკასიაშიც იყო. აქ გეზი აიღეს კოლექტივიზაციის „უმოკლეს ვადაში“ დამთავრებაზე, თუმცა ამიერკავკასიის განკარგულებაში მთელი ოთხი წელიწადი იყო. რაკი მთლიანი კოლექტივიზაციისათვის სათანადო ნიადაგი არ იყო მომზადებული, კოლმეურნეობათა შექმნისას მიმართავდნენ ადმინისტრაციულ ზემოქმედებას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განახლა ზოგიერთი საოლქო და სამხარეო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, მათ შორის განაახლა ხელმძღვანელობა ამიერკავკასიაშიც.

ამხანაგ სტალინის გენიამ აღმოაჩინა მიმდინარე ეტაპზე საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი რგოლი — სასოფლო-სამეურნეო არტელი, როგორც ყველაზე სწორი და გლეხებისათვის გასაგები ფორმა. სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ ფორმას ახლანდელ მომენტში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი და დასახულია მისი ყოველმხრივი განმტკიცების საბრძოლო ამოცანები.

უპასუხა რა შეკითხვას — პარტიული ხაზის გამრუდებებთან ბრძოლა ნაბიჯის უკან გადადგმა ხომ არ არისო, ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ აქ ლაპარაკია არა პარტიის მიერ აღებული კურსიდან უკანდახევაზე, არამედ იმ შეცდომების გამოსწორებაზე, რომლებიც ადგილებზე დაუშვეს ამხანაგებმა.

სტატიაში „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ დიდმა სტალინმა მოგვცა შეტევის კანონების გენიალური განსაზღვრა. ამხანაგი სტალინი წერდა: „არ შეიძლება წარმატებით აწარმოო შეტევა კლასობრივი მტრების ლიკვიდაციისათვის, **თუ არ განამტკიცე** დაპყრობილი პოზიციები, **თუ არ გადააჯგუფე** შენი ძალები, თუ არ უზრუნველყავი ფრონტი **რეზერვებით**, თუ არ გაამაგრე **ზურგი** და სხვ“.

ამხანაგმა სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა უთავგზურები, რომლებიც ზოგადად გაჰკიოდნენ შეტევაზე, მაგრამ არ ესმოდათ შეტევის კლასობრივი ბუნება, და მიგვითითა, რომ ჩვენ ვაწარმოებთ შეტევას სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე საშუალო გლეხთან კავშირში, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შეტევას შეუძლია მოგვიტანოს გამარჯვება.

ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა, რომ კულაკობის წინააღმდეგ დაწყებული ფართო შეტევის დასაგვირგვინებლად საჭირო იყო არა მარტო კულაკობის მოსპობა, არამედ პარტიაში მისი აგენტურის განადგურებაც. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობასთან დაძაბული ბრძოლის პირობებში ჩვენს პარტიაში მთავარი საფრთხის საკითხისადმი დიალექტიკური მიდგომის კლასიკური ნიმუში. ამხანაგი სტალინი წერდა: „ჩვენში მთავარი საფრთხე მემარჯვენე საფრთხეა. მემარჯვენე საფრთხე იყო და რჩება ჩვენში მთავარ საფრთხედ... „მემარცხენე“ გადამხვევთა შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში წარმოადგენენ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ჰქმნიან ხელსაყრელ ვითარებას პარტიაში მემარჯვენე გადახრის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის... მემარჯვენე ოპორტუნიზმთან წარმატებითი ბრძოლისათვის საჭიროა „მემარცხენე“ ოპორტუნისტთა შეცდომების დაძლევა. „მემარცხენე“ გადამხვევნი ობიექტურად მემარჯვენე უკლონისტების მოკავშირენი არიან... დღევანდელი მომენტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბრძოლა „მემარცხენე“ გადამხვევთა შეცდომებთან ჩვენში წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნიზმთან წარმატებითი ბრძოლის პირობას და თავისებურ ფორმას“.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის მიერ კოლმეურნეობების წინაშე დასახულ უახლოეს პრაქტიკულ ამოცანებს: თესვის სწორ ორგანიზაციას, ნათესი ფართობის გადიდებას, ხელმძღვანელ სამუშაოებზე საშუალო გლეხობის საუკეთესო ადამიანების მოწინევას, უპარტიოთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე, კოლმეურნეობებში ფართო უპარტიო აქტივის შექმნას. ამ ამოცანების გადაჭრა ახლად შექმნილ კოლმეურნეობებს დაეხმარა წარმატებათა მოპოვებაში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტატიაში „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ დიდი სტალინის მიერ მოცემულ მითითებას თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის შესახებ. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: მთავარი საქმე ის არის, რომ გამოიჩინო გამბედაობა — აღიარო შენი შეცდომები და იპოვო შენში ძალა ამ შეცდომების უმოკლეს ვადაში ლიკვიდაციისათვის.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე პარტიამ მოკლე დროში გამოასწორა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომები და გამრუდებანი, განახორციელა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. სოფლად აღიზარდნენ შესანიშნავი კადრები. „ახლა ყველასათვის ნათელია, — ამბობდა ამხანაგი სტალინი 1937 წელს,—რომ პარტიამ მიაღწია თავისას, მოაბრუნა რა ჩვენი პარტიული ამხანაგები სწორ გზაზე. ამჟამად ჩვენ გვყავს ათიათასობით საუცხოო კადრები გლეხებიდან საკოლმეურნეო მშენებლობისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის საქმეში. ეს კადრები აღიზარდნენ და გაიწრთვნენ 1930 წლის შეცდომებზე. მაგრამ ეს კადრები არ გვეყოლებოდა ახლა, რომ პარტიას მაშინ არ შეეგნო თავისი შეცდომები და დროულად არ გამოესწორებინა ისინი“.

ჩვენი ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცა. კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრება ფაქტი გახდა. შარშან 1940 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირში გლეხების შემოსავალი 30 პროცენტით და მეტით გადიდდა. გადაჭრილია მარცვლეულის პრობლემა, წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. შარშან სოფელმა ერთისამად-ერთიოთხად მეტი ტრაქტორები, ავტომობილები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები მიიღო, ვიდრე 1940 წელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად განუხრელად იზრდება. შარშან ჩვენმა მეჩაიეებმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 59.130 ტონა მარტო პირველი და მეორე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 23.735 ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს. 1949 წელს დამზადდა 707 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ამდენი ციტრუსი საქართველოს წინათ არასოდეს არ დაუმზადებია. შარშან დამზადებულ იქნა 56.200 ტონა ყურძენი, რაც 20 ათასი ტონით აღემატება 1940 წლის დამზადების ოდენობას. გასულ წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 18.620 ტონა თამბაქო ანუ წლიურ გეგმაზე 4.260 ტონით მეტი.

ეს წარმატებანი სოფლის მეურნეობის ფრონტზე შედეგია საქართველოს ბოლშევიკების, მთელი ხალხის თავდადებული შრომისა, მუშაობის სტალინური სტილისა, რაც ჩვენში დანერგა დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს.

საქართველოს სოფლის მშრომელთა ამოცანაა მთელი ძალით იბრძოლონ სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის, სანიმუშოდ ჩაატარონ საგაზაფხულო ხვნა-თესვა, ყოველმხრივ განამტკიცონ საწარმოო ბრიგადა, როგორც შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა კოლმეურნეობებში, და სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართონ 1950 წელს სტალინური მოსავლის მოსაყვანად.

დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

თ. კუნჭულია

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღვკვეთოთ დამახინჯებანი, ვიბრძოლოთ კულტურული ვაჭრობისათვის“

ჩვენი გაზეთის 28 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქალაქ თბილისის სავაჭრო ქსელში არსებული მთელი რიგი დამახინჯებანი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ 30 მარტს განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. დამნაშავეთა მიმართ მიღებულია სათანადო ზომები. თბილისის უნივერმაღის № 7 ფილიალის გამგე მ. მიქაბაძე საქონლის გადამალვისათვის, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯებებისათვის მოხსნილი იქნა სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში. ამავე სისტემის № 4 ფილიალის დირექტორი იაკობიძე მოხსნილია სამუშაოდან. № 1 ფილიალის თანამშრომლები ზ. ტუშასიანი და ვ. მჭედლიშვილი მოხსნილი არიან სამუშაოდან და მიცემული არიან პასუხისგებაში. მომხმარებლისათვის ხურდა ფულის დაკლების გამო თბილისის უნივერმაღის № 4 ფილიალის მოლარე მ. ბასარია მოხსნილია სამუშაოდან. „გასტრონომის“ № 8 მაღაზიის გამყიდველი მარტიროსოვი მომხმარებლის ზომა-წონასა და ხურდაში მოტყუებისათვის მოხსნილ იქნა სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში. სამუშაოდან მოხსნილია და პასუხისგებაში მიცემული არიან აგრეთვე „თბილვაჭრობის“ № 31 მაღაზიის გამყიდველი დედიაშვილი, თბილპურვაჭრობის № 44 მაღაზიის გამგე მამაცაშვილი.

ხურდა ფულის მოუმარაგებლობისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა „თბილკვებვაჭრობის“ № 67 მაღაზიის გამგეს ამხ. რუხაძეს. სუსტი ხელმძღვანელობისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადათ უნივერმაღის № 1 ფილიალის დირექტორს ამხ. ბაკურაძეს და თბილვაჭრობის № 31 მაღაზიის დირექტორს ამხ. ციციაშვილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე

დაბადების 50 წლისთავის გამო

★ ★ ★

СТАЛИН
СТАЛИН ДЕТСТВО И ОТРОЧЕСТВО
ИЗБРАННОЕ
GEORGI LEONIDZE
SZTÁLIN IFJÚSÁGA
გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძე მუშაობს ეპოპეაზე „სტალინი", რომელიც სამ წიგნად არის განზრახული.

პირველი წიგნი „ბავშვობა და ყრმობა" 1937 წელს გამოქვეყნდა. იგი თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე.

რუსულ ენაზე ეპოპეა რამდენჯერმე გამოიცა 1944 და 1949 წლებში ნიკ. ტიხონოვისა და 1948 წ. გ. ცაგარელის თარგმანით.

1948 წელს ჟურნალმა „ოგონიოკმა" ეს პოემა გამოსცა მასობრივი ტირაჟით (150.000 ცალი). 1948 წ. და 1949 წ. ეს პოემა სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობამ 130.000 ათასზე მეტი ცალი დაბეჭდა. ასევე ორჯერ გამოსცა სამხედრო გამომცემლობამ მოსკოვში 1948 და 1949 წლებში.

გიორგი ლეონიძის პოემა გამოიცა აგრეთვე უკრაინულ, ბელორუსულ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, თათრულ, მოლდავურ, ტაჯიკურ, ოსურ ენაზე, ნაწილობრივ დაიბეჭდა სომხურ, ყაზახურ, ლიტვურსა და ფინურ ენებზე.

პოემა გამოიცა აგრეთვე სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში — უნგრულად, პოლონურად, ჩეხურად, რუმინულად, ბულგარულად და სხვ.

ეპოპეის გამოცემა მზადდება ჩინურსა და ინგლისურ ენაზე.

პოეტი წელს ამთავრებს ტრილოგიის მეორე წიგნს, „სიჭაბუკე ბელადისა".

სურათზე: გარეკანი გიორგი ლეონიძის წიგნებისა, მათში დაბეჭდილია ეპოპეა „სტალინი" სხვადასხვა ენებზე.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მისალმება გ. ლეონიძეს

ძვირფასო გიორგი ნიკოლოზის-ძევ!

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი გულთბილად მოგესალმებათ თქვენ, საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელსა და თვალსაჩინო წარმომადგენელს, თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით.

ყველასათვის თვალსაჩინოა თქვენი მრავალი წლის და მრავალმხრივი მოღვაწეობა ქართულ პოეზიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. საბჭოთა მკითხველებისათვის ფართოდ ცნობილია და საყვარელია თქვენი პოეტური ეპოპეა, მიძღვნილი საბჭოთა ხალხების დიდი ბელადისა და საბჭოთა ლიტერატურის დიდი მეგობრის — ამხანაგ სტალინისადმი.

შემოქმედებითი ძალების სრული აყვავებით ხვდებით თქვენ თქვენს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. მხურვალედ გისურვებთ თქვენ, ძვირფასო გიორგი ნიკოლოზის-ძევ, მრავალი წლის ჯანმრთელ სიცოცხლეს და ახალ დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს, რომლებიც გაამდიდრებენ არა მარტო ქართულ, არამედ მთელ ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურას.

ა. ფადეევი, კ. სიმონოვი, ნ. ტიხონოვი, ლ. ლეონოვი, ი. ერენბურგი, ა. სურკოვი, ვ. ფატეევი, ა. კარავაევა, მარიეტა შაგინიანი, ა. კოვალენკო, ვერა ინბერ, ე. დოლმატოვსკი, ს. შჩიპაჩევი, პ. ანტოკოლსკი, მ. ალიგერ, ი. ფრენკელი, ვ. ევგენოვი, ვ. გოლცევი, ვ. კოჟევნიკოვი.

რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირისაგან

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მწერლები და პოეტები თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო გისურვებთ მრავალი ხნის სიცოცხლესა და წარმატებას თქვენს შემოქმედებით მუშაობაში მშვიდობისა და კომუნიზმის გამარჯვების საკეთილდღეოდ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სამდივნო.

ეს იყო 1941 წლის დეკემბერში...

ეს იყო 1941 წლის დეკემბერში.

ერთ-ერთი სოფლის ახლოს, ტყეში, დილაადრიან მივიღეთ ბრძანება მისი განთავისუფლების შესახებ. მთელი ჩვენი ნაწილი შეტევისათვის ემზადებოდა... უცბად გამოჩნდა სარდალი. მან შეკრიბა ოფიცრები და პოლიტმუშაკები და აგვიხსნა ამ შეტევის მთელი მნიშვნელობა. თავის სიტყვაში სარდალმა მოიყვანა ციტატა ამხანაგ სტალინის სიტყვიდან, შემდეგ მან წაიკითხა მგზნებარე სტრიქონები საყვარელ პოეტ გიორგი ლეონიძის ლექსიდან სამშობლოს დაცვის შესახებ და რამდენჯერმე გაიმეორა: „ეს მან, ქართველი ხალხის პოეტმა, გამოხატა საბჭოთა ხალხების გრძნობა, ამ სიტყვას ვიმეორებთ ჩვენ დღესაც ბრძოლის წინ, ამ გულითად, მგზნებარე სტრიქონებს იმეორებს ყველა, ვინც ჩვენ გვეხმარება".

გავიდა ერთი, ორი, სამი კვირა. გააფთრებული ბრძოლები იყო.

ჩვენ, საბჭოთა მეომრები, ბრძოლით მივიწევთ წინ.

1942 წლის 4 თებერვალს უფროს ლეიტენანტ ჩიჩირინცოვის დასაფლავებაზე სიტყვით გამოვიდა გენერალ-ლეიტენანტი ბერზარინი, (შემდეგში ქ. ბერლინის პირველი საბჭოთა კომენდანტი). მანაც გაიხსენა ლეონიძის ეს ლექსი, რომელიც ჩვენ ორი თვის წინათ მოვისმინეთ.

მაშინ 22 წლისა ვიყავი, ვმუშაობდი პოლიტხელმძღვანელად.

ამ დროიდან გიორგი ლეონიძე ჩემს ხსოვნაში დარჩა უაღრესად საყვარელ პოეტად, პატივსაცემ ადამიანად.

შარაფ რაშიდოვი

მწერალი, უზბეკეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

თვალსაჩინო მკვლევარი

გიორგი ლეონიძე — ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი — ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარიცაა. ის ახალგაზრდობის პერიოდშივე (1912-1914 წლები) აქვეყნებს პატარა ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის წერილებს: „მიქელ მოდრეკილი", „ამბროსი ნეკრესელი", „ათონის ივერიის მონასტერი", „სამების მონასტერი", „ნინოწმინდა", „უჯარმა და მისი ნაშთები", „ქართული წიგნის ისტორიისათვის", „ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების ისტორიისათვის" და სხვ.

ცნობილია მისი მონოგრაფიული ნაშრომები, როგორც „ბესიკი," „სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე-სიცრუისა" (1928 წ.), „მგოსანი საათნავა" (1930 წ.), „მე-17 საუკუნის პოეტი იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი" (1935 წ.), მე-17 საუკუნის ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი", „ვოლტერიანობა საქართველოში". ცნობილია აგრეთვე ლეონიძის ნარკვევები ვახტანგ მეექვსეზე, დავით გურამიშვილზე, ძველ ქართველ მხატვრებზე და სხვ. აგრეთვე პირველი ნაშრომთაგანი „ზაზასეულ „ვეფხის ტყაოსნის" ხელნაწერის შესახებ". 1921 წელს გ. ლეონიძემ გამოსცა XVIII საუკუნის ქართული პოეტიკა „ჭაშნიკი" მისი ავტორის მამუკა ბარათაშვილის ბიოგრაფიით და 1935 წ. ტექსტები „შაჰნავაზიანის", „დიდმოურავიანის", ხოლო 1928 წ. „სიბრძნე-სიცრუისა".

გიორგი ლეონიძესვე ეკუთვნის ნაშრომები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, ილია ჭავჭავაძის შესახებ (1934 წ.), მონოგრაფია ივანე მაჩაბელზე (1924 წ.), ნაშრომები „პუშკინი და საქართველო", „პუშკინის ქართველი ნაცნობები", „პუშკინი საქართველოში" (1937 წ.), „გრიბოედოვი და საქართველო". მასვე ეკუთვნის მონოგრაფია სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის შესახებ.

1949 წელს გამოვიდა პირველი ტომი მისი მეცნიერული შრომებისა, „ძიებანი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან".

შ. კავსაძე

ვაჟა-ფშაველა

გიორგი ლეონიძეს

სიჭაბუკის დროს პირველად
როს ვახილებდი თვალებსა
და ვუცქეროდი მტირალი
სამშობლოს განაწვალებსა —
ვეძებდი აქეთ-იქითა
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
არავინ უჩნდა დარაჯად
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა.
ვტიროდი უფრო ძალიან
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა...
დღეს ვხედავ გამრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები;
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები,
მირჩება წყლული გულისა,
ვყუჩდები ანატირები.

(დაბეჭდილია 1915 წელს ჟურნალ „განათლებაში", № 8-9).

ალექსანდრე აბაშელი

გიორგი ლეონიძეს

ჯერ კიდევ ყმაწვილს, ახლად ფრთაგაშლილს,
ჩანგის წკრიალი გესიზმრებოდა.
თითქო გესმოდა შორი განგაში,
გული ჯერ უთქმელ ლექსით თვრებოდა.
ამ დროს უეცრად შემოგაფრინდა
ვაჟა-ფშაველას ლექსი პატარა.
შენი ოცნება მაშინ გაბრწყინდა,
ცა და ხმელეთი შემოგატარა.
ახლა სიამით თუ მოიგონებ
რომ შენ პოეტმა გზა დაგილოცა.
ამკობს მას შემდეგ შენს თბილ სტრიქონებს
წმინდა ქართულის ხმაც და კილოცა.
გახედავ, თითქო ცისკრის ზოლია,
შენ რომ სიმღერით გზა გაიარე.
ნათელ მიჯნამდე არ მოგყოლია
ლექსი ნაცრემლი და მგლოვიარე.
შორი მანძილის გაუზომავად
შენ მიაშურე ქვეყნის განთიადს.
შენ უმღეროდი ქართლის მომავალს, —
კრემლის ვარსკვლავად დღეს ის ანთია.
შენ მას უმღერი, მისს სიბრძნეს მაღალს,
ჩვენს ლაღ სიცოცხლეს რომ ამზიანებს,
შენ ალმაფრენას უმღერი ახალს
და ქვეყნის ახალ ადამიანებს.
უმღერი თბილისს, მტკვარსა და ლიახვს, —
მიჰქრის სიმღერა ნიავქარული,
და ჩვენს საყვარელ ბელადთან მიაქვს
ჩვენი მადლობა და სიყვარული.
შენ ამ სიმღერით ხალხს თან გაჰყვები,
დიდი ეპოქის ნიშან-დასმული,
მღელვარე გულის ყველა ძარღვებით
სამშობლოს გულთან გადათანხმული.

გამოჩენილი საბჭოთა პოეტი

გიორგი ლეონიძე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. ჩვენმა დიდმა თანამედროვეობამ, სტალინურმა ეპოქამ ფართო ასპარეზი მისცა მის პოეტურ ნიჭს. გიორგი ლეონიძე საბჭოთა ეპოქის პოეტი, მისი მრავალფეროვანი, განახლებული და აღორძინებული ცხოვრების ჭეშმარიტი მხატვარია.

გიორგი ლეონიძის პოპულარობა, როგორც პოეტური სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატისა, უპირველეს ყოვლისა სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემებს დაუკავშირდა. ამ თემაზე დაწერილმა ლექსებმა პოეტს ჩვენი ქვეყნის იქითაც გაუთქვეს სახელი და საქვეყნოდ ცხადყვეს მისი მაღალი პოეტური ღირსებანი.

ვიდრე ლექსის პირველხარისხოვანი ოსტატის სახელს მოიპოვებდა, გიორგი ლეონიძემ საკმაოდ რთული შემოქმედებითი გზა განვლო. მისი პირველი ლექსი 1911 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „სინათლეში". ამას მოჰყვა ლექსების მთელი ციკლი „განათლებასა" და „თეატრსა და ცხოვრებაში". გიორგი ლეონიძის ეს პირველი ლიტერატურული ცდები მისი სიყმაწვილის წლებს ეკუთვნის. 12-14 წლის ყრმა არის ამ ლექსების ავტორი, მაგრამ ამ პერიოდის ლექსებში უკვე მოჩანს ერთგვარი პოეტური გემოვნება და წერის თავისებური მანერა.

სამწერლო ასპარეზზე გიორგი ლეონიძის გამოსვლა რეაქციის ეპოქისა და პირველი მსოფლიო ომის წლებს დაემთხვა. ამ შავბნელმა ეპოქამ თავისებური გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. ცნობილია, რომ სწორედ ამ ეპოქაში ჰპოვა თავისებური ნიადაგი და განვითარება ქართულ ლიტერატურაში ბურჟუაზიულ-დეკადენტურმა მიმართულებებმა. გიორგი ლეონიძის ყრმობის პერიოდის ლექსებიც ვერ ასცდა დეკადენტური, სიმბოლისტური ლიტერატურული სკოლების გავლენას. ერთი მხრივ, ქართული რეალისტური სკოლის კლასიკური ნაკადი და, მეორე მხრივ, სიმბოლისტური რეაქციული სკოლის მოტივები—ასეთი იყო ის წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი გზა, რომელსაც ადგა გიორგი ლეონიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

საბჭოთა ეპოქის, სტალინის ეპოქის გარეშე გიორგი ლეონიძე უმნიშვნელო დეკადენტ პოეტად დარჩებოდა. გიორგი ლეონიძემ ძველ იდეურ ტვირთს თავი დააღწია, გაარღვია კამერული პოეზიის ჩარჩოები და „ცისფერ ყანწელ" პოეტთა შორის ერთმა პირველთაგანმა მიაშურა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში იგი წერდა: „საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავზე ტირილი". და მართლაც, გიორგი ლეონიძის პოეტური ბუნებისათვის, მისი მგზნებარე ვაჟკაცური ხმისათვის სრულიად შეუფერებელი იყო დეკადენტური, კამერული პოეზიის პოზიციებზე დგომა. პოეტმა კარგად შეიგნო საბჭოთა ეპოქის სიდიადე და მნიშვნელობა. მან ალღო აუღო ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და განახლების იმ გზას, რომელზეც იგი საბჭოთა ხელისუფლებამ დააყენა. განახლებული ქვეყნის სიდიადით მოხიბლული პოეტი 1926 წელს დაწერილ ლექსში — „თუ კი ვცოცხლობ, სიმღერების იმედით"—წერდა:

„მე მაგრეოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე—ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დავინახე—მეხმა როგორ გააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება".

გიორგი ლეონიძის ლირიკის ძირითად თვისებად იქცა ბრგე, ხალისიანი, სიცოცხლისა და ბრძოლისაკენ მომწოდებელი ხმა, რომელიც გამოხატავს ჩვენი საბჭოთა ადამიანის გულგაშლილ, ოპტიმისტურ აზრსა და განწყობილებას, ნათელ რწმენასა და იმედს. მისი პოეზია, ეს არის სიმღერა გამარჯვებისა, სიმხნევისა, ვაჟკაცობისა, თავდადებისა, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულისა.

პოეტი შეჰხარის ახალ, სოციალისტურ სამშობლოს. ეს ახალი სოციალისტური სამშობლო არის პოეტის ოპტიმისტური განწყობილების დაუშრეტელი წყარო. პოეტი აღტაცებით ამბობს:

„გულის ნათელი მე მიპოვნია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო ჩემი ლექსის სახელი".

გიორგი ლეონიძის პოეზიის მთავარი თემაა საბჭოთა სინამდვილე, სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრება და ამ ახალი ცხოვრების შემოქმედი და წინამძღოლი დიდი სტალინი. პოეტმა შექმნა მთელი ციკლი ლექსებისა დიდ სტალინზე. ამ ლექსებში ის დიდი გულწრფელობით, პოეტური უშუალობით და მრავალფეროვნებით ხატავს ბელადის სახეს. გიორგი ლეონიძის არა მარტო იმ ლექსებში გვხვდება ეს სახე, რომლებიც უშუალოდ ბელადისადმია მიძღვნილი, არამედ თითქმის ყოველ ლექსში, რომლის თემა საბჭოთა სინამდვილეა.

გიორგი ლეონიძის დიდი გამარჯვება ის არის, რომ ამ ციკლის ლექსებისათვის მან მონახა ორიგინალური, ინდივიდუალური ხმა, შექმნა მდიდარი და დამოუკიდებელი სახეები, რომლებიც, დიდ იდეურ სინათლესთან ერთად, დიდ მხატვრულ ძლიერებას ანიჭებენ ამ ნაწარმოებთ. პოეტი გვიხატავს დიდ სტალინს, როგორც ხალხის უბადლო გენიოსს, გმირს, რომლის სახელმა „ქოხიდან ხმელეთი გადაანათა", გმირს, რომელიც „მწარე ნატკენის ზღვევაა თუ ლატაკს სადმე სტკენია". გიორგი ლეონიძემ ხანებულად იცის, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი მიღწევა, მისი ძლიერება და სახელი სტალინის გენიას უკავშირდება:

„არ არის ჩვენში მიწის მტკაველი,
შენი ღვაწლი რომ ზედ არ ეფინოს,
არ არის ქვეყნად ხალხის ტკივილი,
შენ რომ გულით არ გეტარებინოს...
შენი სახელი ხმალზე წერია,
როგორც სიმტკიცე ჩვენი გულისა,
და თუ სამშობლო მშვენიერია,
ვით აყვავება გაზაფხულისა,
შენი, შენგანი, შენმიერია
მისი ფეთქვა და მისი გულის ხმა".

შესანიშნავად არის გამოხატული ჩვენი ხალხის აზრი და განწყობილება ამ სტრიქონებში. გიორგი ლეონიძე პოულობს ნათელ შედარებებს, ძლიერ ეპითეტებს, რომ გამოხატოს იმ დიდი საქმის მართალი სურათი, რომელიც ბელადის ცხოვრებას უკავშირდება. „ხალხის ტიტანი", „სამშობლოს მამა" დიდი ბელადი პოეტს წარმოდგენილი ჰყავს როგორც ახალი ისტორიის მეთაური, ხალხთა სარდალი, რომლის მაგვარი არასოდეს ჰყოლია კაცობრიობას:

„შენებრ მამა და სარდალი
ხალხს დღემდე არა ჰყოლია".

გიორგი ლეონიძის ლირიკული ლექსები: „სტალინს", „სტალინის სურათზე", „სიმღერა ბელადზე", „ბელადსა და მთავარსარდალს", „ბელადს", „ბელადმა ნდობა გამოგვიცხადა", „საბჭოების მერვე ყრილობის დელეგატის მოგონება", „სამშობლოსათვის, სტალინისათვის" ხასიათდებიან ორიგინალური პოეტური შთაგონებით და უშუალობით, ფერების ბუნებრივი შერჩევითა და ზომიერებით, ნათელი შედარებებითა და მხატვრული სახეებით, მაღალი გემოვნებითა და პოეტური კულტურით. პოეტი დიდი სიყვარულით და მონდომებით მუშაობდა და მუშაობს ამ თემაზე და ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ იგი არის მთელს საბჭოთა ლიტერატურაში პირველი ავტორი სტალინზე დაწერილი ეპიკური ნაწარმოებისა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა", რომლის შესახებ ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია საქართველოს ბოლშევიკური პარტიის მეათე ყრილობაზე ამბობდა: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი ლეონიძის ახალი პოემა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა", რომელიც დიდი პოეტური აღმაფრენით არის დაწერილი".

გ. ლეონიძის პოემა „სტალინი" დიდი საბჭოთა ლიტერატურის ერთი უბრწყინვალესი მონაპოვარია. ეს პოემა დიდიხანია იქცა ყოველი საბჭოთა ადამიანის, ყოველი მოწინავე მკითხველის სასიყვარულო ნაწარმოებად. მან საერთო-სახალხო აღიარება მოიპოვა.

პოემა „სტალინი" მიზნად ისახავს მოგვცეს დიდი ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ერთი მთლიანი სიუჟეტური მხატვრული ტილო. გიორგი ლეონიძემ პირველმა სცადა ასე ფართოდ მოფიქრებული, მხატვრულად განზოგადებული ეპიკური ნაწარმოები შექმნა დიდი ბელადის შესახებ. პოეტმა პირველმა სცადა ჩვენი ეპოქის უდიდესი პიროვნების, დიდი სტალინის მხატვრული გამოსახვა სიუჟეტიან ნაწარმოებში და, უნდა ითქვას, კარგ შედეგსაც მიაღწია. ამ ნაწარმოების პირველ წიგნში ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლები, დაეხატა ის სოციალური და კულტურული წრე, რომელიც გარს ერტყა ახალგაზრდა სოსოს, წარმოედგინა ტიპიური სურათები გმირის თანამედროვეებისა და გადმოეცა ის სულიერი ინტერესი, რომელიც ყრმას იტაცებდა. ავტორი სავსებით დამაჯერებლად, მაღალი მხატვრული ფორმით აღწევს ამ ამოცანის გადაჭრას. ახლა საქმე მხოლოდ ის არის, თუ როგორ შესძლებს ავტორი აქ არჩეული პრინციპის თანმიმდევრულად დაცვას ნაწარმოების შემდეგ ნაწილებში.

გიორგი ლეონიძემ სტალინის თემას უძღვნა მეორე პოემა „ბერშოულა". სიუჟეტით და მოფიქრებით „ბერშოულა" ეპიზოდური ხასიათის პოემაა, მაგრამ იმდენად ძლიერია თავისი შინაგანი ფაქტურით და პოეტური ფორმით, რომ ის უთუოდ ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში უკანასკნელ ხანებში შექმნილ პოეტურ ნაწარმოებთა შორის. აქ არის ოსტატური შერწყმა აზრისა, ოცნებისა და სინამდვილისა. პოეტი დიდი უშუალობით, საბჭოთა ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნით ხატავს ბერშოულას სიყვარულს და თავდადებას სტალინისადმი. აი ბერშოულას ნამდვილი, გულწრფელი, ხალხის გრძნობის გამომხატველი სიტყვები:

„შენ მზეკაცო, შენ ლომკაცო
სინათლე კაცს გეძახიან,
ყველგან შენი მადლით ყვავის,
სადაც ყანა-ვენახია.
შენი თავი გვიდღეგრძელოს,
რაღა გითხრა ამის მეტი.
ჩვენი ვარდი შენზე ყვავის,
მზეც შენა ხარ და იმედიც".

განსაკუთრებული სიძლიერით აჟღერდა გიორგი ლეონიძის პოეზია სამამულო ომის დღეებში. საბჭოთა ხალხის ამ დიდი ისტორიული გამოცდის ჟამს პოეტის ლექსები ზრდიდნენ ჩვენს ხალხში პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას, სამშობლოსათვის თავდადების გრძნობას. საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმის კეთილშობილური უჭკნობი გრძნობით არის შთაგონებული „ჰეი, ვაჟკაცნო". პოეტი მთელი საბჭოთა ხალხის განწყობილებას გამოხატავს, როცა აცხადებს, რომ ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელი დიდ ბელადს უდგას გვერდით, თავდადებულად იბრძვის გამარჯვებისათვის.

„ვით ერთი კაცი, ჩვენ მასთანა ვართ,
ყველა ძმობილი...
ჩვენ მისთვის გვიცემს გული თანაბარ,
მის სიმტკიცეზე ვართ დანდობილი!
და ერთი გრგვინავს ძახილი გულში:
— ჰეი, ვეფხვებო!
— ჰეი, არწივნო!
თუ ჩვენ სიყვარულს ვიყოფდით გუშინ,
დღეს ვაჟკაცობა გავინაწილოთ..."

გიორგი ლეონიძემ ცხოველი ძალით დახატა ჩვენი ხალხის სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, მისი თავდადება სოციალისტური სამშობლოსათვის. მან სამამულო ომის თემას უძღვნა ისეთი საინტერესო ლექსები, როგორიც არის: „წინ, წინ, სტალინური არწივო", „ქართველ მხედრებს", „აიმართენით", ვაჟკაცნო", „მხედარი პირტახია", „არ დაიდარდო, დედაო", „შინ მოსულისა", „ბერლინს მყოფი ქართლის ვაჟი", „სამშობლოსათვის, სტალინისათვის", „შინ მოუსვლელო, სადა ხარ" და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლექსი „არ დაიდარდო, დედაო". ეს ერთი შესანიშნავი ლექსთაგანია ქართულ პოეზიაში სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსებს შორის.

გიორგი ლეონიძის შემოქმედება ომისშემდგომ პერიოდში კვლავ გამდიდრდა ახალი საინტერესო პოეტური ნაწარმოებებით. პოეტი დიდი სიყვარულით, გატაცებით უმღერის გამარჯვებულ საბჭოთა ხალხს, მშვიდობიან შრომას, კომუნიზმის ხარაჩოების ძარღვმაგარ მუშებს და კოლმეურნეებს. გიორგი ლეონიძის ამ ნაწარმოებთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ფართო ეპიკური ლექსი „რაიკომის მდივანი" და ლექსების ციკლი სამხრეთ საქართველოზე. ამ ნაწარმოებებში კვლავ გამოვლინდა გიორგი ლეონიძის მახვილი პოლიტიკური ალღო, მაღალი პოეტური ოსტატობა, ჩვენი ხალხის აზრებთან და განწყობილებასთან განუყრელი კავშირი.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ გ. ლეონიძის ლექსები, მიძღვნილი დიდი სახელმწიფო მოღვაწის, ლენინის მოწაფისა და სტალინის თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი. ამ ლექსებში გადმოცემულია ჩვენი ხალხის მადლიერების გრძნობა იმ ადამიანისადმი, რომელმაც განაახლა და აღორძინა ჩვენი რესპუბლიკა, რომელმაც გენიალურად განახორციელა ამხანაგ სტალინის სტრატეგიული გეგმა კავკასიის მთებს მისადგომებთან გერმანელთა ურდოების განადგურებისა და იხსნა კავკასიის ხალხები დარბევისა და აოხრებისაგან.

გიორგი ლეონიძე ლექსის ფრიად გამოჩენილი ოსტატია. მან თანამედროვე სალიტერატურო ენა თვალსაჩინოდ გაამდიდრა ლექსიკის თვალსაზრისით. ის ოსტატურად იყენებს ხალხური ლექსიკის მრავალფეროვან უდიდეს მარაგს, არჩევს ყველაზე უფრო ძარღვიან სიტყვებს, გარდა ამისა თვითონ მიმართავს ორიგინალურ სიტყვათა წარმოების წესს, ხშირად ხალხური სასაუბრო ენის ძველ არქაულ სიტყვებთან შეერთების გზით რთულფუძიან ახალ სიტყვას ქმნის. მართალია, ამ ცდის შედეგი ხანდახან ხელოვნურია და გარკვეულ აზრობრივ სინათლეს მოკლებული, მაგრამ მეტწილად პოეტი ძლიერ ეფექტს ახდენს ამ მხრივ და იგი გვევლინება როგორც თავისებური ნოვატორი ქართული პოეტური ლექსიკისა.

მხატვრული ნაწარმოების, პოეტური სიტყვის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს სახე, რომელშიც ვლინდება ძალა მწერლისა. ამ მხრივ გიორგი ლეონიძე ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი სწორუპოვარი პოეტია. იგი პოეტური თქმების, ფრაზების, სახეების დიდ ნოვატორობას აღწევს ხალხური პოეზიისა და მის მაღალ მიღწევათა ორიგინალურად გამოყენების გზით. მწერალი ხშირად მიმართავს დაუშრეტელ ხალხურ პოეტურ საუნჯეს და თავისებურად ამუშავებს მას. ხალხურ პოეტურ მიღწევათა გამოყენების ნიმუშია გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსები „არწივის ფრთები", „ფორთოხალა", „მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა" და სხვ.

გიორგი ლეონიძის პოეტური სიტყვის სისადავე და მისი სიახლოვე ხალხური პოეტური სიტყვის ნაცად გზებთან მის პოეზიას უაღრესად პოპულარულს ხდიან. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ გიორგი ლეონიძის მთელი რიგი ლექსები ხალხში გადავიდა, მათ მღერიან. ამის მაგალითია ერთ-ერთი ხევსურული ვარიანტი გიორგი ლეონიძის ლექსისა „არ დაიდარდო დედაო".

გიორგი ლეონიძის სალიტერატურო მოღვაწეობის დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ მის დიდ დამსახურებას ჩვენი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის, გამოკვლევისა და შეფასების საქმეში. მისი ლიტერატურული გამოკვლევები: „იოსებ თბილელი", „დიდი მოურავი", „სულხან საბა ორბელიანი", „ბესიკი", „საიათნოვა", „ვეფხისტყაოსნის" ახალი ხელნაწერი", „ივანე მაჩაბელი" და სხვ. დიდი მნიშვნელობის მქონენი არიან საქართველოს კულტურული წარსულის შესწავლის საქმეში. ამ გამოკვლევებში გიორგი ლეონიძე გვევლინება როგორც დაკვირვებული, მცოდნე, მახვილი ინტუიციით აღჭურვილი მკვლევარი.

გიორგი ლეონიძეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. ეს ფრიად საპატიო თარიღია. პოეტმა ბევრი რამ მისცა ჩვენს ხალხს, გაამდიდრა ხალხის სულიერი სამყარო ახალი ნაწარმოებებით. ამიტომ სრული უფლებით უფრო მეტს მოელიან მისგან საბჭოთა მკითხველები. გ. ლეონიძე, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში მყოფი, უეჭველია კვლავ გაამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას ახალი თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოებებით.

ს. ჭილაია

იუგოსლავიის ჯაშუშების პროცესი ბულგარეთში

სოფია, 30 მარტი. (საქდესი). ბულგარეთში იუგოსლავიის ჯაშუშების საქმეზე სოფიის საოლქო სასამართლოს გუშინდელ საღამოს სხდომაზე დაკითხულმა ბრალდებულმა მიოდრაგ მილოშევიჩმა („სიბირაკი") სავსებით ცნო თავი დამნაშავედ. ბრალდებულმა დაწვრილებით უამბო სასამართლოს ბულგარეთში თავის ჯაშუშურ საქმიანობაზე.

როგორც მილოშევიჩმა აჩვენა, 1948 წლის ივლისის დამლევს იგი დაბარებულ იქნა ბელგრადს, სადაც კონტრდაზვერვის უფროსმა გენერალმა ეფტო შოკიჩმა მას უთხრა, რომ იგი, მილოშევიჩი, გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე და ამისათვის იგი დემობილიზებულ იქნება არმიიდან, როგორც თითქოს „ინფორმბიუროს მომხრე". მისი ახალი სამსახურის ამოცანების შესახებ, თქვა შოკიჩმა, მას აცნობებს პირადად პოლიტიკური სამმართველოს უფროსი კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი სვეტოზარ ვუკმანოვიჩ-ტემპო.

ამ საუბრის შემდეგ, განაგრძობს მილოშევიჩი, მე გამოვცხადდი სვეტოზარ ვუკმანოვიჩთან, რომელმაც მითხრა, რომ ჩემი ამოცანაა ბრძოლა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიების ინფორმბიუროს გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

1949 წლის 20 მარტს მილოშევიჩი დაიბარა უდბ-ის (პოლიტიკური პოლიცია) პოლკოვნიკმა ბოიანიჩმა და წინადადება მისცა „პოლიტიკური ემიგრანტის" სახით გამგზავრებულიყო ბულგარეთში. ბოიანიჩმა, აჩვენა მილოშევიჩმა, გააცნო მას სოფიაში იუგოსლავიის საელჩოს მუშაკებთან ურთიერთობის დამყარების საშუალებანი და მისცა ინსტრუქცია ბულგარეთში ჯაშუშური საქმიანობის შესახებ. ძირითადად ეს დავალება ის იყო, თქვა მილოშევიჩმა, რომ ყოველი საშუალებით უნდა გვეწარმოებინა ბულგარეთში ძირგამომთხრელი საქმიანობა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ბულგარეთში ჩამოსვლის შემდეგ, აჩვენებს ბრალდებული, 6 მაისს კავშირი დავამყარე სოფიაში იუგოსლავიის საელჩოს მუშაკებთან. მე დამევალა მუშაობა ემიგრანტთა შორის, მათი განწყობილების გაგება და ჯაშუშური ცნობების შეგროვება.

მალე მილოშევიჩი სამუშაოდ გადაიყვანეს ქალაქ რუსეში და კავშირი დამყარა იუგოსლავიის საელჩოსთან, რომელიც მის ჯაშუშურ საქმიანობას ხელმძღვანელობდა. მან გადასცა ცნობები ჯარების დისლოკაციისა და შეიარაღების, პირადი შემადგენლობის პოლიტიკური და სამხედრო მომზადების შესახებ.

თავისი ჩვენების დასასრულს მილოშევიჩმა განაცხადა, რომ უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა თავისი ხალხის წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ტიტო, თქვა მან, ახორციელებს მის მიერ იუგოსლავიაში დამყარებულ ფაშისტურ დიქტატურას. მე, განაცხადა ბრალდებულმა, ვაღიარებ, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩემი დანაშაულობანი და ჯაშუშობა ტიტოს ბანდის სასარგებლოდ მიმართული იყო საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, სასარგებლო იყო ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისათვის. ეგრეთწოდებული იუგოსლავიის კომუნისტური პარტია დღეს პოლიციის აპარატია, იარაღია ტიტო-რანკოვიჩის ხელში. ტიტოს ბანდა სასტიკად უსწორდება იუგოსლავ ხალხის საუკეთესო შვილებს. იუგოსლავიის ხელმძღვანელები და მათი ხელქვეითები მარწმუნებდნენ, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა „ჩვენს პარტიულ ამოცანას" წარმოადგენსო.

ბრალდებულმა უპასუხა პროკურორის კითხვაზე და თქვა, რომ იუგოსლავ ოფიცრებს მუდამ იმ აზრს შთააგონებდნენ, რომ იუგოსლავიის არმიამ თითქოს საბჭოთა კავშირის დაუხმარებლად „დამოუკიდებლად" გაათავისუფლა იუგოსლავია გერმანელებისაგან. ტიტოს და მის დამქაშებს თავიანთ განცხადებებში ერთხელაც არ უთქვამთ, რომ დარვარის ოლქში გერმანელთა მიერ გარემოცვის დროს ისინი საბჭოთა მფრინავებმა გადაარჩინეს.

მიოდრაგ მილოშევიჩმა განაცხადა, რომ ადასტურებს მის მიერ ხელმოწერილ ჩვენებას და რომ მის მიმართ არავითარი ფიზიკური თუ მორალური ზეგავლენა ან ძალადობა ბულგარელ ხელისუფალთა მხრივ არ ყოფილა.

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულ ბოგოლიუბ ჩედომირ ილიჩს, რომელმაც ჩვენება სერბულ ენაზე მისცა. ბრალდებულმა ილიჩმა სავსებით აღიარა თავისი დანაშაული და დაადასტურა წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემული ჩვენება.

ბრალდებულმა განაცხადა, რომ 1949 წლის იანვრის დამლევს იგი დაიბარეს ქალაქ ნეგოტინის უდბ-ში, სადაც წინადადება მისცეს ემუშავნა იუგოსლავიის დაზვერვისათვის, გამგზავრებულიყო როგორც „პოლიტემიგრანტი" ბულგარეთში და მოეკლა ზაიჩარეს საოლქო უდბ-ის უფროსი რადომირ ილიჩ მიკო, რომელიც იუგოსლავიიდან მაისში გაიქცა ბულგარეთში. როგორც ბრალდებულმა აჩვენა, უდბ-ში მას განუცხადეს, რომ ფულს, იარაღსა და ყოველივეს, რაც საჭიროა, მას მისცემდნენ იუგოსლავიის სოფიის საელჩოში.

ბულგარეთის საზღვარზე გადასვლის რამდენიმე ხნის შემდეგ, განაცხადა ბრალდებულმა, ბელგრადის ხელისუფალთა დავალებით გავემგზავრე ქალაქ შუმენს იმისათვის, რომ შემესრულებინა დავალებული ამოცანა — მომეკლა რადომირ ილიჩ მიკო. სოფიაში შევიარე, სადაც გამოვცხადდი იუგოსლავიის საელჩოს საკონსულო განყოფილების ხელმძღვანელ სვეტოზარ სავიჩთან.

შემდეგ ბრალდებულმა აჩვენა, რომ ჯერ კიდევ იუგოსლავიაში ყოფნისას, უდბ-ის დავალებით რანკოვიჩის პოლიციას აძლევდა ცნობებს იუგოსლავ კომუნისტთა შორის ინფორმბიუროს ნამდვილი მომხრეების შესახებ.

შემდეგ სასამართლოს მიერ დაკითხულმა ბრალდებულმა დარინკა ბორისლავოვა სტოიკოვამ აგრეთვე დამნაშავედ ცნო თავი ყველა დანაშაულში, რაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩაიდინა.

ბრალდებულმა აჩვენა, რომ იუგოსლავიის დაზვერვაში სამუშაოდ იგი გადაიბირა სოფიაში იუგოსლავიის სამხედრო ატაშეს თანაშემწე—არსო მილატოვიჩმა. მილატოვიჩს, აჩვენებს ბრალდებული, უმთავრესად აინტერესებდა ბულგარეთის კომპარტიის შინაპარტიული ცხოვრების საკითხები. შეგროვებულ ჯაშუშურ ცნობებს სტოიკოვა აძლევდა მილატოვიჩის ცოლს ვოიკა მილატოვიჩს. იყო რა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წევრი, დარინკა ბორისლავოვა სტოიკოვა რეგულარულად აწვდიდა იუგოსლავ „დიპლომატებს" და კერძოდ მილატოვიჩს ჯაშუშურ ცნობებს იმ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, რომლის წევრიც იგი იყო. საიდუმლო ხასიათის ცნობების შესაგროვებლად მილატოვიჩმა ბრალდებულს მისცა სპეციალური გასაღები, რომლითაც იგი აღებდა კარადებსა და მაგიდებს რაიკომის შენობაში, სადაც მუშაობდა, იპარავდა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის საიდუმლო მასალებს და აძლევდა მილატოვიჩს.

შემდეგ ბრალდებულმა დაწვრილებით ილაპარაკა თავის, როგორც ბულგარეთში იუგოსლავ ემიგრანტთა შორის პროვოკატორის საქმიანობაზე.

1949 წლის 23 მაისს ბრალდებული სამსახურიდან დაითხოვეს და კომპარტიიდან გარიცხეს. როცა მილატოვიჩთან შეხვედრისას მან უამბო ეს, მილატოვიჩმა წინადადება მისცა — თუ დააპატიმრებდნენ, არ გამოტეხილიყო თავის მტრულ საქმიანობაში, ხოლო სასამართლოში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისათვის ბრალად დაედო „ნაციონალიზმი" და ემტკიცებინა, თითქოს მას იმისათვის ასამართლებენ, რომ ჩამომავლობით იუგოსლავია. გარდა ამისა, მილატოვიჩის რჩევით, თქვა ბრალდებულმა, მე ბულგარეთის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისათვის ბრალად უნდა დამედო, რომ იქ მაწამეს და მაიძულეს მიმეცა მათთვის საჭირო ჩვენება. შემდეგ მილატოვიჩმა მითხრა, აჩვენა ბრალდებულმა, რომ როგორც კი დამაპატიმრებდნენ, დიდი ხმაური ატყდებოდა ბელგრადის პრესაში და რადიოთი და რომ ბელგრადის რადიოს შემდეგ ალაპარაკდებოდნენ ინგლისისა და ამერიკის რადიოსადგურები, რათა „სახელი გაეტეხათ" ბულგარეთის მართლმსაჯულების ორგანოებისათვის.

ჩვენი ერთ-ერთი შემდგომი შეხვედრის დროს, განაცხადა ბრალდებულმა, მილატოვიჩმა მითხრა, რომ მან მოახსენა იუგოსლავიის „კომუნისტური პარტიის" ხელმძღვანელობას ჩემი მდგომარეობა და მიიღო დავალება დაუყოვნებლივ გავეგზავნე იუგოსლავიაში. მან დასძინა, რომ ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ ჩემი სასამართლო პროცესი დიდად გაუტეხდა სახელს ტიტოს, იუგოსლავიის „კომპარტიის" ხელმძღვანელობას და ბულგარეთში იუგოსლავიის საელჩოს თანამშრომლებს.

ბრალდებულის სიტყვით, მილატოვიჩის ცოლმა მას გადასცა 40 ათასი ლევი ბულგარეთიდან გაქცევის მოსაწყობად. გარდა ამისა, მილატოვიჩმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბრალდებულს გადასცა რევოლვერი.

სასამართლოს თავმჯდომარე: სასამართლო პროცესი თქვენს საქმეზე ინსცენირებულია თუ აგებულია დამამტკიცებელ საბუთებზე?

ბრალდებული: პროცესი სამართლიანია და აგებულია დამამტკიცებელ საბუთებზე.

სასამართლოს თავმჯდომარე: როგორი იყო ბულგარეთის ადმინისტრაციულ და საგამომძიებლო ხელისუფალთა მოპყრობა თქვენდამი?

ბრალდებული: მოპყრობა პატიოსნური და ადამიანური იყო. მე მესაჭიროება სამედიცინო დახმარება და კიდეც ვიღებ. შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენება სრულიად ნებაყოფლობით მივეცი, რომ არ ყოფილა არავითარი მორალური და ფიზიკური ზეგავლენა.

შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულ კატერინა მეტოდიევა სპასოვას დაკითხვას. იგი დაიბადა ბელგრადში და იქ ცხოვრობდა 1942 წლამდე, რის შემდეგ ბულგარეთში გადმოვიდა. 1945 წელს ბრალდებული გაეცნო კირილე ოდერლინს, იუგოსლავიის სავაჭრო ატაშეს თანაშემწეს, რომელიც ხშირად დაიარებოდა მის ოჯახში დიმიტროვოში. ოდერლინმა სპასოვას მოსთხოვა მიეცა მისთვის შინაპარტიული მუშაობისა და ეკონომიური ხასიათის სხვადასხვა ცნობები. 1946 წლის დეკემბერში ოდერლინი იუგოსლავიაში გაემგზავრა, მაგრამ მანამდე ბრალდებული გააცნო თავის მოადგილე რადოვიჩს, რომელმაც წინადადება მისცა მას ხელი მოეწერა ვალდებულებაზე იუგოსლავიის დაზვერვაში მუშაობის შესახებ.

რადოვიჩმა სპასოვას დაავალა შეეგროვებინა სხვადასხვა ჯაშუშური ცნობები, და ბრალდებულიც აწვდიდა მას ამ ცნობებს. 1947 წლის თებერვლიდან ივლისამდე სპასოვამ თავისი ჯაშუშური საქმიანობისათვის რადოვიჩისაგან მიიღო 15 ათასი ლევი. შემდეგ ბრალდებული მუშაობდა იუგოსლავიის სამხედრო ატაშეს თანაშემწის არსო მილატოვიჩის დავალებით, რომელიც აგრეთვე აძლევდა მას ფულს და მოითხოვდა სხვადასხვა ჯაშუშური ცნობების გადაცემას. კერძოდ მან მოსთხოვა ბრალდებულს წარედგინა ცნობები ქალაქ დიმიტროვოში მცხოვრები 300 იუგოსლავი მოქალაქის შესახებ.

ბრალდებულმა დამნაშავედ ცნო თავი მტრულ საქმიანობაში, მაგრამ შეეცადა თავისი დანაშაულობანი გაემართლებინა „პოლიტიკური უცოდინარობით".

შემდეგ სასამართლოს მიერ დაკითხულმა ბრალდებულმა ივანე გეორგიევ ბაიალცალიევმა თავი სავსებით დამნაშავედ ცნო.

სოფია, 30 მარტი. (საქდესი). დღეს სოფიის საოლქო სასამართლოს დილის სხდომაზე გრძელდებოდა იუგოსლავიის ჯაშუშების, ტერორისტებისა და დივერსანტების საქმის მოსმენა.

პირველად დაკითხულ იქნა ლიუბენ კოსტადინოვი. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო და აღიარა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩადენილი მძიმე დანაშაულობანი. თავის ჩვენებებში მან ამხილა ტიტო, რანკოვიჩი და მათი დანაშაულებრივი ხროვა, რომელიც მტრულ საქმიანობას ეწევა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

შემდეგ სასამართლო შეუდგა დიმიტრ გორანოვის დაკითხვას, რომელმაც აგრეთვე აღიარა მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული.

ჩინეთში აღმოაჩინეს გომინდანის ტერორისტული ორგანიზაცია

შანხაი, 31 მარტი. (საქდესი). გაზეთი „ძეფანჯიბაო" იუწყება, რომ სახელმწიფო უშიშროების შანხაის სამმართველომ ამას წინათ აღმოაჩინა გომინდანის საიდუმლო ორგანიზაცია გომინდანის საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელის მაო სენის სისტემიდან. ამ ორგანიზაციას ეწოდებოდა „ეროვნული ხსნის სამხრეთ-აღმოსავლეთის სახალხო ანტიკომუნისტური არმიის ხაიხეის კოლონის მესამე რაზმი". დააპატიმრეს 20-ზე მეტი დივერსანტი, მათ შორის რაზმის მეთაური ჩენ ძიუ-სიანი.

„მესამე რაზმი" მოქმედებდა სოფელ ადგილებში ჯეძიანის პროვინციის პინხუს, ძიასინისა და ძიაშენის რაიონებში, სადაც ჩენ ძიუ-სიანი ხელმძღვანელობდა არალეგალურ საქმიანობას—ძარცვავდა მოსახლეობას, სოფლებში კლავდა აქტივისტებს და ცდილობდა გაეფართოებინა თავისი შეიარაღებული ორგანიზაცია.

ჯოუ ენ-ლაის განცხადება

პეკინი, 31 მარტი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირის გენერალურ მდივანს დეპეშით აცნობა, რომ ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ლი ძიანი დანიშნა მთავარ წარმომადგენლად საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირში და რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არამეგობრულ აქტად მიიჩნევს, თუ ეგრეთწოდებულ გომინდანის წარმომადგენლებს ნებას დართავენ დაესწრონ მაღალი სიხშირის რადიოგადაცემების საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც 1 აპრილს შედგება იტალიაში.

იაპონიის კომპარტიის ლოზუნგები

შანხაი, 30 მარტი. (საქდესი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ გაზეთ „აკახატაში" გამოაქვეყნა კომპარტიის 5 ძირითადი და 54 დამატებითი ლოზუნგი.

იაპონიის კომპარტიის ეს ძირითადი ლოზუნგებია:

1. ყოველმხრივი საზავო ხელშეკრულება პოტსდამის დეკლარაციის საფუძველზე; საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მთელი საოკუპაციო ჯარების რაც შეიძლება მალე გაყვანა.

2. ბრძოლა ომის, კოლონიზაციისა და სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვა და მშვიდობისმოყვარე ერებთან მეგობრული თანამშრომლობა.

3. ბრძოლა კოლონიური დამონების წინააღმდეგ; ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა; მრეწველობის სამშვიდობო დარგების შეუზღუდავი განვითარება; დამოუკიდებელი საგარეო ვაჭრობა სსრ კავშირთან, ჩინეთთან, კორეასთან და სხვა ქვეყნებთან.

4. ბრძოლა იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინების წინააღმდეგ; ძირს მონარქიული და გამცემლური რეაქციული ძალები; ძირს იოსიდას კაბინეტი; სოციალ-დემოკრატი მოღალატეების განდევნა.

5. შევქმნათ მუშათა ფრონტის ერთიანობა; ყველა პატრიოტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს დემოკრატიულ ეროვნულ ფრონტში; ვიბრძოლოთ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დემოკრატიული სახალხო მთავრობის შექმნისათვის.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი

პრაღა, 30 მარტი. (საქდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პრაღაში გადასცა ორი ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ 1950 წლის 24 მარტს ჩეხოსლოვაკიის სამი თვითმფრინავი მიუნხენის მახლობლად ამერიკის სამხედრო აეროდრომზე დაეშვა.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში ნათქვამია, რომ იმ პირებმა, რომლებმაც იარაღის მუქარით აიძულეს თვითმფრინავები კურსი შეეცვალათ, ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, მგზავრების სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეუქმნეს და ამიტომ გასამართლებულ უნდა იქნან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში არსებული კანონებით. საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჩეხოსლოვაკიას გადასცეს ანგეტერი, მრაზი, სვეტლიკი და პოშელკა და იმ თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები, რომელიც ბრატისლავიდან გაფრინდა, დოლეჟილი, შმიდი, შახი და კრლოვენსკი, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომლებიც მიცემულ უნდა იქნან ჩეხოსლოვაკიის სამართალში.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ნოტაში გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალნი გერმანიაში უხეშად და უცერემონიოდ მოეპყრნენ ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებს, რომლებიც უნებურად აღმოჩნდნენ ამერიკის ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, და მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას.

პარტიზანთა წარმატებითი საბრძოლო მოქმედება სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 30 მარტი. (საქდესი). სამხრეთ კორეის პარტიზანებს, რომლებმაც ჩაშალეს მარიონეტული მთავრობის ზამთრის სადამსჯელო ოპერაციების გეგმა კვლავ სასტიკი იერიშები მიაქვთ ლი სინ მანის არმიისა და პოლიციის ნაწილებზე. კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ერთ-ერთი დიდი პარტიზანული რაზმი, რომელიც კენგის პროვინციაში მოქმედებს, 19 მარტს შეიჭრა სეულიდან 30 კილომეტრზე მდებარე თემის ცენტრში დონდიუჩენში. დონდიუჩენში შეჭრილი პარტიზანების ჯგუფმა იერიში მიიტანა მარიონეტული მთავრობის ჯარების შტაბის სადაზვერვო რაზმზე, მოსპო 10 მზვერავი და დასწვა შენობა, რომელშიც ეს რაზმი იმყოფებოდა. ამავე დროს მეორე რაზმი თავს დაესხა რკინიგზის პოლიციას, მოსპო 30 პოლიციელი და ააფეთქა პოლიციის შენობა. პარტიზანებმა გაანადგურეს აგრეთვე დონდიუჩენის პოლიციის უბანი და მოსპეს 10 პოლიციელი.

ამავე დღეს პარტიზანთა სხვა დიდმა რაზმმა საბრძოლო მოქმედება დაიწყო სოფელ სანბონში, დონდიუჩენის ჩრდილოეთით, იერიში მიიტანა მარიონეტული მთავრობის არმიის ერთ ქვეგანაყოფზე, მთლიანად გაანადგურა იგი და მოსპო 30-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის შეტევითი ოპერაციები

შანხაი, 31 მარტი. (საქდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, ლაო-კაიდან (200 მილზე ხანოის ჩრდილო-დასავლეთით) საომარი მოქმედებების შესახებ გადმოცემულ ნაკრებ ცნობაში ნათქვამია, რომ 9-დან 27 თებერვლამდე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიამ გაათავისუფლა ფრანგების მიერ ოკუპირებული 13 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ფოლუს და ნგიადოს ციხეები. მოკლულ იქნა 700 ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ფოლუში საფრანგეთის ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი გოტიე. ტყვედ წამოყვანილია 72 ფრანგი.

ვიეტნამის ჯარებმა მოსპეს საომარი მასალის 4 საწყობი, 6 სასურსათო საწყობი, საწვავის საწყობი, აგრეთვე 3 ნაღმსატყორცნი, 6 ტყვიამფრქვევი და ერთი საველე ზარბაზანი. მათ ხელთ იგდეს 70 ტყვიამფრქვევი, 250 შაშხანა, 2 ნაღმსატყორცნი, 4 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 2.000 გრანატი და 12 ტონა სხვადასხვა სამხედრო საჭურველი.

ორი კვირის შეტევითი ოპერაციების შედეგად განთავისუფლებულ იქნა 250 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 5.000 კაცს შეადგენს.

გარდაიცვალა ლეონ ბლუმი

პარიზი, 30 მარტი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს გარდაიცვალა საფრანგეთის მემარჯვენე „სოციალისტების" ლიდერი ლეონ ბლუმი.

გიორგი ლეონიძის შემოქმედების საღამო

ორშაბათს, 3 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება სტალინური პრემიის ლაურეატის, პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის დაბადების 50 წლისთავის შესრულებისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის შ. რადიანი. მოხსენებას **გიორგი ლეონიძის** ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ს. ჭილაია. სიტყვებით და მისალმებებით გამოვლენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პუშკინის სახელობის ინსტიტუტის, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის, სოფელ პატარძეულის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები. გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ ქართველი საბჭოთა პოეტები.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის, რუსთაველის სახელობის თეატრის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები და ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ახალგაზრდა მომღერლები.

საკონცერტო განყოფილებაში აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ქართული ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ი. სუხიშვილის და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, დები იმხნელები და სამტრესტის მომღერალთა გუნდი.

საღამოს დასაწყისი 8 საათზე.

მთვარის სრული დაბნელება

მიმდინარე წლის 2 აპრილს, 23 საათსა და 9 წუთზე (ადგილობრივი დროით) დაიწყება მთვარის დაბნელება. დედამიწის ჩრდილი დაფარავს მთვარის ბადროს აღმოსავლეთ მარცხენა კიდეს. მთვარის დაბნელების დაწყებიდან ერთი საათისა და 20 წუთის შემდეგ მოხდება მთვარის სრული დაბნელება. მიუხედავად ამისა, დედამიწის ატმოსფეროს მაღალ ფენებში მზის სხივების გარდატეხით მთვარე მაინც ხილვადი იქნება.

მთვარის დაბნელება გაგრძელდება 24 საათსა და 59 წუთამდე, რის შემდეგ დედამიწის ჩრდილი მთვარის ბადროს მარცხენა ზედა კიდეს თანდათანობით მოსცილდება.

მშობელთა უნივერსიტეტში

დღეს, 2 აპრილს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მშობელთა უნივერსიტეტში (ფურცელაძის ქ. № 3) შედგება აკადემიკოს **გ. ახვლედიანის** ლექცია **„ოჯახის როლი ბავშვთა სწორი მეტყველების აღზრდის საქმეში".**

დასაწყისი რუსულ სექტორზე 11 ს. და 30 წ., ქართულზე — 1 ს.

ლექციები

3 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 14) აწყობს ამხ. დ. ენუქიძის ლექციას თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

4 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის **ვ. მაჭავარიანის** ლექციას თემაზე:

„ვატიკანი ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში".

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან, ლექციის დღეს— სალაროში.

ნეკროლოგი

ფილიპე გოგიჩაიშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

ფ. გოგიჩაიშვილს საშუალო განათლება მიღებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო უმაღლესი — უცხოეთში, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის პეტრე უმიკაშვილის დახმარებით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1902 წლიდან ფ. გოგიჩაიშვილი ჩაება ფართო საზოგადოებრივ პუბლიცისტურ და მეცნიერულ საქმიანობაში, მუშაობდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროში, კახეთის რკინიგზის საზოგადოებაში და სხვ. ერთხანს რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას", ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც და აქვეყნებდა ეკონომიურ გამოკვლევებს.

ფ. გოგიჩაიშვილი იყო თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორთა ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი და უნივერსიტეტის პირველი პროფესორთაგანი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ფ. გოგიჩაიშვილის მუშაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა საბჭოთა საფინანსო და საგეგმო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მან გერმანულიდან და ფრანგულიდან ქართულად თარგმნა კ. მარქსის ძირითადი თხზულებანი („კაპიტალის" II და III ტომები, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", „ფილოსოფიის სიღატაკე" და სხვ.). მანვე ინგლისურიდან თარგმნა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსთა (ა. სმიტის, დ. რიკარდოს) შრომები.

თვალსაჩინოა ფ. გოგიჩაიშვილის ღვაწლი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. პედაგოგიურ მუშაობას იგი წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. თავისი წვლილი შეჰქონდა საბჭოთა ეკონომიკის საკითხების მეცნიერულ შესწავლაში.

ფ. გოგიჩაიშვილი გულმოდგინედ ნერგავდა სტუდენტობაში შრომისადმი სიყვარულს და საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას, თვით უჩვენებდა რა ამის მაგალითებს.

პროფესორ ფ. გოგიჩაიშვილის, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სახელი მუდამ დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

ამხანაგების ჯგუფი

თეატრებში

2 აპრილს: ოპერისა და ბალეტის — „ალი" (დილით), „ტრავიატა" (საღამოს, მე-13 აბ. მე-11 სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ნ. ბარათაშვილი" (დილით), „დიდი ხელმწიფე" (საღამოს, მე-6 სერიის მე-9 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი" (დილით), „ვარდო" (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — „სახლი შესახვევში" (დილით), „ლიკურგის კანონი" (საღამოს); **სომხური დრამის** — „მზის დაბნელება" (დილას და საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ" (დილით), „მხიარული ქვრივი" (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გაქვავებული ქალაქი" (23-ე აბ. 10 ს. 52-ე აბ. 2 ს.), „სიჭაბუკე ზელიდისა" (8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ფინისტი" (97-ე აბ. 10 ს.), „სიმწიფის მოწმობა" (114-ე აბ. 2, 30 წ., 8 ს.); **თოჯინების რუსული** — „ალენუშკა" (11, 1 ს.), „ქარიყლაპიას ბრძანებით" (3 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 11 აპრილს, დღის 3 ს. ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

ზინაიდა ანტონის ასული მგელაძე თემაზე: **„ცისტური მასტოპათიის საკითხისათვის".**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. ბერეჟიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ჯორბენაძე.**

ნორაირ მკრტიჩის-ძე ავაკიანი თემაზე: **„Причина асфиксии при внезапной смерти от малярийной комы, в судебно-медицинском отношении".**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ტატიშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **გ. მათიაშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მოქალაქე **გრიგოლ კირილეს-ძე ახათიანმა**, მცხოვრებმა პეტრიწის მოედანზე № 21/23, აღძრა საქმე არაგვისპირელის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **ელეონორა ვალიკოს ასულ წულაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები გერასიმე, ანტონ, რძლები ნინო, ელენე, ოლია, შვილიშვილები მერი, თინა, დარეჯან, ზურაბ, ნოდარ, ეთერ, ლენი იუწყებიან **მარინე ესეს ასულ ბარამიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-IV, 4 ს. ს. შემოქმედში (მახარაძის რაიონი).

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი იუწყება ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ძველი მეციტრუსის, უხვი მოსავლის ოსტატის **ავქსენტი ანტონის-ძე აბუსერიძის** გარდაცვალებას.

ვერა, ელენე, დარეჯან, ქეთო და ნიკოლოზ შველიძეები იუწყებიან **კონსტანტინე დავითის-ძე შველიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IV ს. შროშაში.

ს. ლოლაშვილი, ა. ცეცხლაძე, ე. კბილაშვილი, თ. ლომსაძე, ზ. ქუსიკაშვილი, ლ. აბაკელია, გ. გულაშვილი, ა. ორმოცაძე, ს. კობოსნიძე, ა. აბიათარი, ლ. მანჯგალაძე, თ. ოჩიგავა, ე. ცხოვრებაშვილი, რ. სკანდარონი იუწყებიან **თამარ ივანეს ასულ ალიბეგაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IV, 4 ს. მცხეთაში.

და ნადია, რძალი ვერა, ძმა გრიშა გეგეჭკორები, ძმა არჩილ ხაინდრავა ოჯახებით იუწყებიან **ვანო გეგეჭკორის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV, გეგეჭკორში.

დები ელისაბედ, ელენე, დისწულები არჩილ, სოფიო, რძალი რუსუდან ლორთქიფანიძე, სიძე შალვა ჩიქოვანი შვილებით, ძმისწული სონია გოგიჩაიშვილი ოჯახით იუწყებიან პროფესორ **ფილიპე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2-IV, 2 ს. ჯავახიშვილის, 11.

თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის მე-3 „ბ" ჯგუფის სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ჯგუფის სტუდენტ ანგელინა დონდუას მისი დედის **ანა ვლადიმერის ასულ დონდუას** გარდაცვალების გამო. გამოსვენება 2-IV, 4 ს. გოგოლის, 48.

მარიამ, ლუარსაბ, გივი, ანდრე და ეთერ კარბელაშვილები, ნინო და ევა ბეზარაშვილები, თამარ და შოთა ნაცვლიშვილები იუწყებიან **დიმიტრი ბარნოვის** გარდაცვალებას.

გ. სილაგაძე, ნ. ქებაძე, ა. ლალიევი, ე. ვახანია, დ. ბულეიშვილი, ა. ძიგრაშვილი, ა. იაროევი, ი. კეკელიძე, ლ. ჭიალაშვილი, გ. შათირიშვილი, ვ. ჩიგირი და მ ძველაია თანაგრძნობას უცხადებენ ხ. ი. ტალიაშვილს მისი მამის **იოსებ ივანეს-ძე ტალიაშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანა, შვილი ფარნაოზ, რძლები სალომე და ლალი, შვილიშვილები მერაბ, მერი, დიმიკო და გოგი იუწყებიან **დიმიტრი ალექსის-ძე ბრაგვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV ს. ერიათუბანში (გურჯაანის რაიონი).

რ. მელაძე, ლ. ელბაქიანი, პ. ლანდია, ვ. ბაპავა, ვ. მხეიძე, დ. როდონაია, ი. ასათიანი, ვ. მელაძე, ვ. პიტოევი, ვ. პეტროსიანი იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **ფილიპე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ **ფილიპე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ლიზა, თამარ, ქეთო, არჩილ, გიორგი, დავით და ვიქტორ ოჯახებით იუწყებიან **ნატალია ლვთისავარის ასულ დავითაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-IV, 7 ს. მეჩნიკოვის, 9. დაკრძალვა 4-IV, ს. ხიდისთავში (გორის რაიონი).

მეუღლე ნინო, შვილი ექიმი ქეთევან ბალანჩივაძე იუწყებიან **ვიქტორ გაბრიელის-ძე ბალანჩივაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-IV, 7 ს. გამოსვენება 4-IV, 6 ს. მოსკოვის, 20.

ვანო, ლიზა და დემნა პაატაშვილები იუწყებიან **მიტო ალექსანდრეს-ძე ბარნოვის** გარდაცვალებას.

საკავშირო დაუსწრებელი საფინანსო ეკონომიური ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექცია და პროფესორ-პედაგოგთა პერსონალი იუწყებიან მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **ფილიპე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას

პაატა გუგუშვილი ოჯახით იუწყება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ **ფილიპე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დ. ქაჯაიას მისი მამის **ალექსანდრე ქაჯაიას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 2-IV სოფელ ჭაგანში.

მეუღლე ნინო, შვილები ქეთია, ვარდო და ალექსანდრე, რძალი ელენე, სიძე ილია დავითაია, შვილიშვილები პავლე, ვანო, ეთერ, გოგია და ზურაბ იუწყებიან **ივანე ალექსანდრეს-ძე გეგეჭკორის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV გეგეჭკორში.

აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი, პროფესორი გ. გეხტმანი, დოცენტები ლ კარბელაშვილი, შ. გოგებაშვილი, კ. ნიკოლაიშვილი, გ. გურგენიძე იუწყებიან მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ **ფილიპე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე მაშო, შვილები ვიქტორ, ლიზა, ქსენია, ალექსი, სიმონ, თამარ, რძლები ქენია, რუსუდან, მერი, სიძეები შ. მათიაშვილი, გ. ასაბაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან **პახუმ ალექსის-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IV სოფ. ბახვში.

გ. და ვ. ნიჟარაძეები, გ. და დ. კუბლაშვილები, ა. და ა. გოგიბერიძეები, ნ. ტ. საყვარელიძეები, ლ. და ფ. ჩიკვაიძეები, გ. და ლ. ახრახაძეები, პ. და ი. ქუთელიები თანაგრძნობას უცხადებენ სიმონ და რუსუდან ნიკოლაიშვილებს მათი მამის **პახუმ ალექსის-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალების გამო.

ი. ჯაში, ნ. ლაჭყეპიანი, მ. ასათიანი, პ. ყლენტი, პ. კაჭარავა, ზ. ინწკირველი, გ. კუპრეიშვილი, მ. ჭელიძე, გ. სალუქვაძე, ი. ჩუბინიძე, ი. ორაგველიძე, შ. ჩხიკვიშვილი, გ. მეუნარგია იუწყებიან სიმონ ნიკოლაიშვილის მამის **პახუმ ალექსის-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას.

ნ. ბასილაია, მ. ადამოვა, მ. ვართანოვა, ნ ახობაძე, ო. მახარაძე, გ. მდინარაძე, ფ. აბალაშვილი, ა. კოშაძე, თ. ბანეთიშვილი, გ. ბერიაშვილი, ე. ხურცილავა, მ. ჭეჭინაძე, შ. ფოცხვერია იუწყებიან **თამარ ივანეს ასულ ალიბეგაშვილის** გარდაცვალებას.

ს. ძამუკაშვილი, ს. კოპაძე, ლ. გიორგობიანი, თ. ბაკურაძე, მ. ხევსურიანი, მ. თეთრაძე, თ. მხეიძე, თ. მჭედლიშვილი, შ. ზუმბაძე, მ. ოსიტაშვილი იუწყებიან **თამარ ივანეს ასულ ალიბეგაშვილის** გარდაცვალებას.

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პედიატრიული კლინიკისა და ქალაქის I საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ექიმები თანაგრძნობას უცხადებენ ასისტენტ ქ. ვ. ბალანჩივაძეს მისი მამის **ვიქტორ გაბრიელის-ძე ბალანჩივაძის** გარდაცვალების გამო.

შვილები გუგუ, ნაომ, თინა, ლეო, მეგრო, ენძელა, სიძე მიშა ზურაბიშვილი, რძლები შურა, მილია, ეთერ, შვილიშვილები თენგიზ, ქაჩუნა, იზოლდა, ლიანა, ლუდა, ელეონორა, კორდელი, დალილა იუწყებიან **ბართლომე გიორგის-ძე დგებუაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV, დიდჭყონში (გეგეჭკორის რაიონი).

კლავდია და ნიკოლოზ ქოიავები იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **ფილიპე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83. კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73 24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00135